ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 19 ივნისი, 2020 №132 (8396) ფასი: 60 თეთრი

**საქართველოს 6 სასტუმროს ხელმძღვანელები ჯავშნიდნენ სასტუმროს ნომრებს და უცხოელებს ბარათებიდან ფულს აჭრიდნენ**


გვ.5

# „კალაძე არჩევნების მერე პოლიტიკიდან წავა“


გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძის მოადგილის, ირაკლი ხმალაძის, დაკავება იგეგმებოდა და კალაძემ ამ პირობით გადაათქმევინა“





## ვახტანგ ძაბირაძე: „დიდი სიფრთხილე მართებს ხელისუფლებას!“


გვ.3

„თუ ოდესმე ამ ქვეყანაში ნორმალური ხელისუფლება მოვა, მაშინ ეს ყველაფერი დალაგდება და ერთხელ და საბოლოოდ გამოაშკარავდება, რეალურად ვინ ვინ იყო და ვინ ვის ინტერესებს ემსახურებოდა“

## „ოპოზიცია ხელისუფლებასთან საინფორმაციო ომს აგებს“

ნიკა ჩიტაძე: „20 ივნისს ოპოზიციამ „ოცნების“ დროს ჩადენილი შეცდომები უნდა გააჟღეროს“




გვ.3

## ამერიკელი ექსპერტები დასავლეთს კრემლის მიმართ პოლიტიკის გამკაცრებისკენ მოუწოდებენ


გვ.4

„პუტინი ემუქრება საქართველოს სუვერენიტეტს“

„ოცნებამ“ საერთოდ ვერ ააწყო ურთიერთობა ამერიკის კონგრესთან და სენატთან“


გვ.4

პეტრე მამრაძე: „მე ვიცი, როგორი გაოგნებულები იყვნენ ამერიკელი დიპლომატები „ოცნების“ წარმომადგენლებთან ურთიერთობის შემდეგ“

## ვინ არიან ესენი, არც ლაპარაკი შეუძლიათ, არც პასუხის გაცემაო

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 დოდო გუბეშაშვილი: „ზაზა მურჯიკნელი ბრალს არ აღიარებს“

2 პატრულის ეკიპაჟი რადიო „პალიტრის“ მანქანას დაეჯახა
ავარია ბულაჩაურზე

5 „ვარკეთილის ბაზრობის ადგილზე დიდი კომპლექსის მშენებლობა იგეგმებოდა“

6 ჩეხეთი პირბადეების ტარების ვალდებულებას 1 ივლისიდან გააუქმებს

# „კალაძე არჩევნების მერე პოლიტიკიდან წავა“

## ლევან ხაბეიშვილი: „კალაძის მოადგილის, ირაკლი ხმალაძის, დაკავება იგეგმებოდა და კალაძემ ამ პირობით გადაათქმევინა“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**



***– ლევან, 20 ივნისს სამოქალაქო აქტივისტები, ოპოზიციურ პარტიებთან ერთად ამ თარიღის გასაპროტესტებლად იკრიბებით. რაიმე ხელისშემშლელ ფაქტორებს ხომ არ ელით ხელისუფლების მხრიდან?***

– 20 ივნისი არის ამ ხელისუფლების შავი ლაქა. ეს არის თვალების დათხრის დღე, ახალგაზრდებისთვის რეზინის ტყვიების სროლის დღე. გახარიაა ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი, ის იყო შინაგან საქმთა მინისტრი და იმის მაგივრად, რომ გაეშვათ, დააწინაურეს. მაგათ ჩამოიყვანეს გავრილოვი, დიდი პატივით მიიღეს პარლამენტში. ყოფილი პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლეს. მხარდამხარ იდგნენ გავრილოვი, კობახიძე და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. ყველამ კარგად ვიცით, რა მოხდა ამ დღეს. დათხრილი თვალები ვიცით, თუმცა დღემდე არც ერთი ადამიანია დასჯილი და იდენტიფიცირებული არაა, ვინც ამ ახალგაზრდებს თვალები დასთხარა. რა შეეხება ხელის შეშლას, არა მგონია, რამის თავი ჰქონდეთ.

***– რა მოცემულობაა ერთი წლის თავზე?***

– ერთი წლის თავზე ჩვენ გვაქვს მოცემულობა, რომ გავრილოვის ჩამომყვანები და დამცველები კვლავ მაღალ თანამდებობაზე არიან და „ქართული ოცნების“ სახეები დაწინაურებულები არიან. ხოლო ის ხალხი, ვინც ამ ანტისაოკუპაციო აქციაზე იყო, სისხლის სამართლის დამნაშავეებად გამოაცხადა საქართველოს ხელისუფლებამ. ნათელია ის რეალობა, რაშიც ვართ.

უკანასკნელ პერიოდში „ქართული ოცნება“ ძალიან მიეჩვია ამერიკელი სენატორების და კონგრესმენების გალანძღვას. ისინი არ ერიდებიან, რომ ამერიკელ სენატორებს და კონგრესმენებს უწოდონ კორუმპირებულები. თურმე ნაციონალებმა მოისყიდეს ამერიკელი კონგრესმენები და სენატორები. ხოლო რუსეთს და კადიროვს თუ ეხება საქმე, რამე ისეთი არ წამოგვცდეს, არ გავაღიზიანოთო.

მართლა ზედაპირზეა ის, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში არიან ოფიციალური რუსეთის აგენტები. ეს ხელისუფლება დასრულებულია. გახარიას მარტო ია კერზაიას საქმე ეყოფა, გარდა 20 ივნისისა. ეს ქალბატონი პირდაპირი მნიშვნელობით სიკვდილამდე გიორგი გახარიამ მიიყვანა.

***– თქვენ გახარიას გადაყენებაზე საუბრობთ და გამოდის ინფორმაციები, რომ შესაძლოა სულაც სიის პირველ ნომრად ვიხილოთ. მასზე დებს ფსონს ივანიშვილი?***

– ეს არის ცინიზმის უკიდურესი ფორმა. ივანიშვილი ფსონს უკვე ველარავიზე ვერ დადებს. ივანიშვილს თავის თავი გასჭირვებია. მას აინტერესებს ის, რომ მის ქონებას საფრთხე არ დაემუქროს. კონგრესმენები ამას ღიად წერენ და 13 კონგრესმენი მარტო 13 არ არის და მათ უკან 157 კონგრესმენი დგას.

***– შეცდომაში ჰყავს ოპოზიციას შეყვანილი ამერიკელი კონგრესმენებიო.***

– 8 წელია ეგენი არიან ხელისუფლებაში და ჩვენ როგორ შეგვყავს შეცდომაში. ამერიკელი კონგრესმენი ირაკლი კობახიძეს რომ მოუსმენს, რომელიც ამბობს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მოისყიდა კონგრესმენები და სენატორები, რაში სჭირდებათ ამაზე მეტი ინფორმაცია?! კობახიძეს რომ მოუსმენენ, ამის მერე რაღად უნდათ ჩვენი მიწოდებული ინფორმაცია, როცა ამერიკელებზე იძახის, რომ კორუმპირებულები არიან. კობახიძეს ყველა თავისნაირი ჰგონია.

***– კორუმპირებული?***

– დიახ. „ოცნებაში“ ყველაფერი ფულით წყდება და აღებ-მიცემობაში არიან. ოდესმე გინახავთ, რომ რუსებზე რამე მსგავსი ეთქვათ?! გავრილოვი გვერდზე ედგათ, მასთან ერთად ფოტოებს იღებდნენ და ამერიკელ კონგრესმენებს კორუმპირებულებს ეძახიან.

***– პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას იწყებს. ოპოზიცია განხილვაში მონაწილეობს არ მიიღებს, რა მოლოდინი გაქვთ?***

– რა თქმა უნდა, ოპოზიცია მონაწილეობას არ მიიღებს. ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, რა დიდ გულზე იყვნენ ოქრუაშვილსა და უგულავაზე, მაგრამ მოუწიათ მათი გამოშვება. ორი დღის წინ გულში მჯიღს იცემდნენ და ორ დღეში მოუწიათ გამოშვება. განხილვებში ოპოზიცია მანამ არ მიიღებს მონაწილეობას, სანამ რურუა დაკავებული იქნება. სანამ შეთანხმება არ იქნება ბოლომდე შესრულებული.

შესაძლოა, ვიღაცას გიორგი რურუა არ მოსწონს პიროვნულად და კითხვა აქვს მასთან, პირობითად ვამბობ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლა მას იარაღი არ ჩაუდეს. ეს იარაღი რომ ჩადებულია, ამაზეა საუბარი. სწორედ ამიტომ ვსაუბრობთ, რომ რურუა არის პოლიტიკური პატიმარი და ამაზე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ღიად ლაპარაკობენ.



***– ლევან, საუბარია, რომ გახარია და კალაძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სერიოზულად. რას ვერ იყოფენ? კალაძის კორუფციონერობაზე თქვენ არაერთხელ გისაუბრიათ და ახლა სხვებიც საუბრობენ.***

– ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ჩვენი, ხალხის ქონებას ვერ ინაწილებენ. რაღაცა წილებში სხედან და არის გამიშვი და დამაკავე. რაც შეეხება კალაძეს, სერიოზული სკანდალია მის მოადგილესთან დაკავშირებით. რამდენი ხანია, ის საერთოდ არ გამოჩენილა. ირაკლი ხმალაძის დაკავება ჰქონდათ გადაწყვეტილი, კალაძის მოადგილის, ხმალაძის, დაკავება იგეგმებოდა და კალაძის პირადი თხოვნით ხმალაძე არ არის დაკავებული.

***– კალაძემ გადაარჩინა მისი მოადგილე?***

– ზუსტად ასე იყო და ამის გამო ბიძინა ივანიშვილთან სერიოზული უთანხმოება მოუვიდა. უფრო მეტიც, ჩემი ინფორმაციით, გარანტიები მისცა ბიძინა ივანიშვილს, რომ ამ არჩევნების შემდეგ კალაძე საერთოდ წავა ამ სიტუაციიდან და სულ მოშორდება პოლიტიკურ აქტიურობას.

ყველასთვის გასაგებია ალბათ, ხმალაძის დაკავების შემთხვევაში ეს კორუფციული სქემები ვისთან მიდიოდა. კალაძე პირადად აეფარა ხმალაძეს, რომელიც საერთოდ გაქრა, რამდენიმე თვეა, საერთოდ არ გამოჩენილა, არადა ყველაზე აქტიური მერის მოადგილე იყო. გადამალეს პირდაპირი მნიშვნელობით.

ასევე, ვერც სიებს იყოფენ გახარია და კალაძე, ვერც ფულებს იყოფენ და აქვთ გამიშვი და დამაკავე. ქართველი ხალხი საერთოდ არ აინტერესებთ. რა ბიზნესი ვერ გადაინაწილეს, აი, ამაზე მიდის წეწვა-გლეჯვა. თუმცა ამ წეწვა-გლეჯვას ძალიან მალე ბოლო მოეღება.

2012 წლიდან რაც კი ქონება მიუთვისებია ბიძინა ივანიშვილს და მის ბანდას, ყველაფრის კონფისკაცია მოხდება და დაუბრუნდება მის ალმატებულება ქართველ ხალხს. ასობით საქმე დევს პროკურატურის თაროებზე, მარტო მე რაც შევიტანე კალაძის და სხვების წინააღმდეგ. ყველა საქმე დაბრუნდება ძიებაში და ნათელი მოეფინება. ნაძარცვი აქვთ ქონება პირდაპირი მნიშვნელობით და არავის არაფერი არ შერჩება.

***– ლევან, ოპოზიციის შიგნით მიმდინარე პროცესებზეც ვისაუბროთ. სერიოზული დაპირისპირებაა მაჟორიტარებთან დაკავშირებით. საუბრობენ, რომ ნაციონალებსა და „ევროპულ საქართველოს“ შორის არის დაპირისპირება.***

– მოდით, ღიად და პირდაპირ ვთქვათ, არაფერი დასამალი არ არის. ჩვენ შეთავაზება გავაკეთეთ მაჟორიტარულ ოლქებთან დაკავშირებით და აღარ ვერევით მაგ მოლაპარაკებაში. ან დაპირისპირებაში ვისთან უნდა ვიყოთ? ჩვენ ვთქვით ორი ოლქი და მორჩა. დანარჩენ ოპოზიციას კი ვუთხარით, დასხედით ახლა და მოილაპარაკეთ.

***– ანუ დანარჩენი ოპოზიცია ვერ თანხმდება?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ რვიდან ვთქვით ორი კანდიდატი და ექვსზე შეთანხმდნენ დანარჩენები. ჩვენ ფიზიკურად არ ვმონაწილეობთ ამ მოლაპარაკებაში. ჩვენ რა შუაში ვართ?! მხოლოდ იმიტომ მოვიქეცით ასე, რომ ერთობა შედგეს. ესეც იმიტომ ვთქვით, რომ სრულად გაერთიანებაზე თავად ამბობენ უარს. იცით სააკაშვილის შეთავაზება და ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვიყავით.

ჩვენ ვმოქმედებთ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და ეს ყველა ჩვენი ნაბიჯით დასტურდება. ახლა ვიღაცას პარტიული ჭმუნვები აქვს და მე ეს არ მინდა და ის არ მინდა, ამას ქართველი ხალხი თავადაც კარგად დაინახავს.

***– შედგება ეს ერთობა?***

– იმედი მაქვს. ჩვენ გავაკეთეთ ორი შეთავაზება. საერთო სიაზე ამბობენ უარს, მათი განცხადებით, ეს არ უნდათ და ძალიან ცუდი, რომ არ უნდათ. კარგი იქნებოდა, თუ ვიწროპარტიულ ინტერესებს გვერდზე გადადებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ იქცევიან.

იმედს ვიტოვებ, რომ ეს შეთანხმება მაინც იქნება, ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ და თუ მაინც ვერ მოხერხდა, უკაცრავად, მაგრამ ჩვენი პასუხისმგებლობა ნამდვილად არ იქნება.

მალე გამოჩნდება, ვინ არის ნამდვილად მებრძოლი და ვინ – ბიძინა ივანიშვილის კარზე გაურკვეველი თამაშების მოთამაშე!

# „პერესტრელკებიც“ ჰქონდა, მოუკლავს კიდეც“




## რას ყვებიან ლიანდაგზე ჩაცხრილულ გარიკ გევორქიანზე

ისანში რკინიგზის ლიანდაგზე ჩაცხრილულ 52 წლის გარიკ გევორქიანს მეზობლები უარყოფით პიროვნებად ახასიათებენ.

სისხლიან გარჩევაში მონაწილე ცოლაკ აივაზიანი მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს.

მისი სახლიდან ამოღებულია მაკაროვის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, დაკავებულს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ინფორმაციით, მამაკაცი კრიმინალურ ავტორიტეტებთან დაახლოებული პირი იყო.

– რას აკეთებდა? კარგს არაფერს. ადამიანური ფაქტორები არ ჰქონდა. მას ჰქონდა კრიმინალურ ავტორიტეტებთან ურთიერთობა. „პერესტრელკებიც“ ჰქონდა, მოუკლია კიდეც. საშიში პიროვნება იყო და მისი ნათესავებიც საშიშები არიან, – ამბობს ერთ-ერთი მეზობელი.

გარდაცვლილს მეორე მეზობელიც უარყოფით პიროვნებად ახასიათებს.

– არაადამიანი იყო. მორფს აბარებდა, – აცხადებს მეზობელი.

კრიმინალურ ავტორიტეტებთან ურთიერთობას უარყოფენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები, თუმცა რა გახდა მკვლელობის რეალური მიზეზი, ამას გამოძიება დაადგენს.

გარიკ გევორქიანს ტყვია გულში მოხვდა. ის ადგილზე გარდაიცვალა.

# პატრულის ეკიპაჟი რადიო „პალიტრის“ მანქანას დაეჯახა




## ავარია ბულაჩაურზე

გუშინ, 18 ივნისს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ბულაჩაურის ქუჩაზე – საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა, რის შედეგადაც ორივე ავტომობილის მძღოლი დაშავდა. საპატრულო პოლიციის მანქანა რადიო „პალიტრის“ თანამშრომლის ავტომობილს დაეჯახა.

„რადიო პალიტრის“ თანამშრომელი ინცინდენტში სამართალდამცველებს ადანაშაულებს და ამბობს, რომ მოძრაობის წესები სწორედ საპატრულო ეკიპაჟმა დაარღვია, რის გამოც მათ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანასაც გეგმავს.

– იმდენად დიდი სისწრაფით შემეჯახა, რომ კი ხედავთ, საითკენაც გადაგვაგდო, – ამბობს დაზარალებული კატო ოცხელი.

შსს-მ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღძრა, რაც გულისხმობს სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას, რამაც სიცოცხლის დაზიანება გამოიწვია.

# შსს-მ ყაჩაღობის ბრალდებით თბილისში 1 პირი დააკავა




შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული თ.ა., ყაჩაღობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 4 ივნისს, ვარკეთილში მდებარე ტექნიკის ერთ-ერთ მაღაზიას ყაჩაღურად თავს დაესხა, სავაჭრო ობიექტის მეპატრონეს დანის მუქარით 3.000 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიცია ხელისუფლებასთან საინფორმაციო ომს აგებს“

## „20 ივნისს ოპოზიციამ „ოცნების“ დროს ჩადენილი შეცდომები უნდა გააჟღეროს“

იაგო ნაცვლიშვილი

**ხვალ 2019 წლის 20 ივნისის დარბევიდან ერთი წელი გადის და ოპოზიცია ისევ აპირებს შეკრებას. თუმცა რაზე უნდა გაკეთდეს მთავარი აქცენტი ამ აქციის დროს, ეს მთავარ კითხვად რჩება. პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმაზე საუბრობს, რაზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტი ოპოზიციის მხრიდან და რას მიიჩნევს ოპოზიციის მთავარ შეცდომად დღეს.**



***– 1 წელი გადის 20 ივნისის დარბევიდან. ოპოზიცია ისევ აპირებს შეკრებას, თქვენი აზრით, რა თემები უნდა წამოწიონ?***

– უნდა განიხილონ 20 ივნისის აქციის საკითხი, როგორ გამოიყენა ხელისუფლებამ ძალა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ. თუ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები გამოვლენ, მათ ასევე უნდა შეადარონ 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოვლენებს. 20 ივნისს ხალხი აპროტესტებდა რუსეთის ოკუპაციას და იქ იყვნენ პატრიოტულ-პროდასავლური ძალები.

***– ფორმით შეიძლება შეედაროს, მაგრამ შინაარსით განსხვავდება.***

– ერთი მხრივ, ზედაპირულად თუ შევხედავთ, ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც ხელისუფლებამ გამოიყენა ძალა, მაგრამ მას მათ შორის დემოკრატიულ ქვეყნებშიც იყენებს და იყო შემთხვევები, როდესაც ლეტალურად დამთავრებულა ხელისუფლების მიერ ძალის გამოყენება. ფაქტია, რომ 7 ნოემბერს გადადგა სააკაშვილი თანამდებობიდან და საპრეზიდენტო ვადა 1 წლით შეიმცირა.

***– ამით გაქარწყლდა ის შეცდომა?***

– რეალობა ისაა, რომ პასუხისმგებლობა აიღო და გადადგა. მაშინ იყო ხელისუფლების დამთავრებაზე მოწოდება და ისიც ვიცით, რომ ბადრი პატარკაციშვილიც მონაწილეობდა.

***– ახლაც მაგას ედავებიან ოპოზიციას, რომ პარლამენტის აღებაზე იყო მოწოდებებიო და სახელმწიფო გადავარჩინეთ დამხობასო.***

– ეს ყველაფერი უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებს. ფაქტია, რომ 7 ნოემბერს ხელისუფლების დამთავრებაზე იყო მოწოდებები. იყო სხვა ქმედებებიც.

მიტინგზე უნდა ილაპარაკონ ამ ორი მოვლენის შედარებაზე. იმიტომ, რომ შეიძლება მათ უთხრან, რომ რა მორალური უფლება გაქვთ 20 ივნისზე ილაპარაკოთ, როცა თქვენ იყავით 7 ნოემბერს ხელისუფლებაშიო. მაგრამ უნდა ახსნან განსხვავება. 20 ივნისს ხელისუფლებამ შეცდომა კი არ აღიარა, არამედ პირიქით, ვინც დარბევის ბრძანება გასცა, ის დააწინაურა პრემიერ-მინისტრად. ამიტომ ზუსტად უნდა გაჟღერდეს ეს. იგივე 26 მაისს პუტინის მეგობარი ბურჯანაძისგან დესტრუქციული ქმედებები იგეგმებოდა და ამის კადრები არსებობს.

ასევე უნდა იყოს საუბარი იმაზე, რომ ამ ხელისუფლების დროსაც იყო მკვლელობები, მაგრამ ხალხს ისევ გირგვლიანის საქმე აკერია პირზე. პარლამენტარის შვილი მოკლეს გორთან გვირაბში, ან ქუთაისში მოკლეს ახალგაზრდა, თემირლან მაჩალიკაშვილი მოკლეს სპეცოპერაციაზე და ა. შ. რობაქიძის და გირგვლიანის საქმეზე გაუფრთხილებლობით მომხდარ მკვლელობაზე 3-3 წელი ისხდნენ პოლიციელები, მაგრამ მაჩალიკაშვილის მკვლელობაზე არავინ დასჯილა და ოპოზიციამ ეს განსხვავებები უნდა გააჟღეროს. ეს აქამდეც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ამას არ აკეთებს და ამით დიდ შეცდომას უშვებს.

ასევე უნდა ისაუბრონ მომავლის სტრატეგიაზე. რას სთავაზობენ მოსახლეობას, რომ მსგავსი მოვლენები აღარ განვითარდეს. მომავალ საქართველოზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, რომ ის უნდა იყოს დაფუძნებული კანონის უზენაესობაზე.

***– ფიქრობთ თუ არა, რომ გაბუნიას თემაც უნდა მიებას ამ აქციას, ვინაიდან ესეც კავშირშია რუსეთის ქმედებებთან?***

– რა თქმა უნდა, ესეც უნდა იყო მიბმული. კადიროვის განცხადებები მიუთითებს ამაზე, როდესაც გაბუნიას მუხლებზე დამხობას და ბოდიშის მოხდას მოითხოვს. გამოჩნდა, რასაც წარმოადგენს რუსეთი. ასევე უნდა გაახსენონ საზოგადოებას ივანიშვილის სიტყვები, რომ მე არ მჯერა, რომ რუსეთის სურვილი მეზობელი ტერიტორიების წაღება არისო. ასევე ისიც, როგორ მიაბეს რუსეთის ბაზარზე ჩვენი ეკონომიკა და მასზე როგორ ვართ დამოკიდებულები.

***– ოპოზიციაშიც გამოჩნდა პრობლემები და შეინიშნება დაპირისპირება. იგივე გიორგი ვაშაძის პრემიერობის კანდიდატურასთან თუ მაჟორიტარების თემაზე. თქვენ რას გეუბნებათ ეს საკითხები?***

– ოპოზიციის შეცდომებს ვხედავ. პირველი შეცდომა ის არის, რომ მან ვერ გაფანტა მითი იმისა, რომ „ქართული ოცნება“ უფრო ლმობიერი ხელისუფლებაა, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა. უნდა ისაუბრონ, როგორ გამოუგონეს, ჟვანია მოკლესო, რაფალიანცის საქმე, ბენზინიდან 1 ლარი სააკაშვილის ჯიბეში მიდისო და ა. შ. ეს რომ ტყუილი იყო, უნდა დაამტკიცონ ფაქტებით.

***– ესეც ოპოზიციის სისუსტეზე მიუთითებს?***

– რა თქმა უნდა და ეს არის შეცდომა. ამაზე უნდა აიღონ ორიენტაცია და ამას მოითხოვდა ზაზა ბიბილაშვილი, რომელმაც დატოვა ნაცმოძრაობა. როგორც ჩანს, უთანხმოება მოუვიდა. მეორე მხრივ, როდესაც ბურჯანაძე და ბესელია სხედან ოპოზიციის გვერდით, შესაძლებელია ეს აწყობდეს „ოცნებას“. იტყვიან, რომ თუ პროდასავლურობაზე ლაპარაკობენ, ბურჯანაძე რატომ არის გვერდზეო.



***– ნინო ბურჯანაძე ამბობს, არ ვარ პრორუსი პოლიტიკოსი, მაგრამ მინდა კეთილმეზობლური ურთიერთობა და როგორც პოლიტიკოსმა, დიალოგის საშუალებით უნდა მოვახერხო და ეს გამოვიყენო, თორემ დასავლური ღირებულებების მომხრე ვარო.***

– ფაქტია, რომ რუსეთში იყო ჩასული და პუტინს შეხვდა.

***– მოსკოვში ჩასვლა ამას ნიშნავს?***

– ყოველ შემთხვევაში განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთის ნაწილია და ა. შ.

შეცდომაა პარლამენტის ბოიკოტირება იმის გამო, რომ რურუა არ გამოუშვეს ციხიდან. რურუას გათავისუფლება უნდა მოითხოვონ, მაგრამ მონაწილეობა უნდა მიიღონ სხდომებში და მხარი დაუჭირონ საკონსტიტუციო ცვლილებებს. თუ „ოცნება“ მიიღებს ამ ცვლილებებს დამოუკიდებელი დეპუტატების მხარდაჭერით, მაშინ „ოცნება“ იტყვის, რომ კონსტრუქციულები ვართ და 8 მარტის შეთანხმება შევასრულეთ, მაგრამ ოპოზიციას ამაში არ მიუღია მონაწილეობა, იმის მიუხედავად, რომ თავად ითხოვდა ამასო. მაგრამ, თუ ვიღაცა გაჯიუტდება და თუ ჩავარდება, ეს დაბრალდებათ „ევროპულ საქართველოსა“ და ნაცმოძრაობას. თუ ჩავარდა, ეს უარესი იქნება ოპოზიციისთვის, რადგან გაცილებით უარესი სისტემით ჩატარდება არჩევნები. დიდი ალბათობით არ ჩავარდება, იცით, რომ პროგნოზებს ვაკეთებ და დიდწილად მართლდება ხოლმე.

***– მაჟორიტარებთან დაკავშირებით სწორი პროცესი მიდის? გაჟღერდა რამდენიმე კანდიდატი უკვე.***

– ეს სწორი პროცესია. საერთო კანდიდატების დასახელება სწორია.

***– გარკვეული განხეთქილება ამ მხრივაც შეინიშნებოდა.***

– კი ბატონო, მაგრამ უნდა შეჯერდეს და ეს საკმაოდ რთული პროცესია.

***– ეს ხომ არ აჩვენებს იმას, რომ საზოგადოებამ იფიქროს, რომ ესენი ჯერ კიდევ ვერ იყოფენ სკამებს და როცა ხელისუფლებაში მოვლენ, დაჭამენ ერთმანეთსო?***

– ერთ დღეში ვერ მოხდება შეთანხმება. მგონია, რომ საბოლოოდ მოხდება შეთანხმება, მათ შორის „ლელოსთანაც“.

***– როცა გიორგი ვაშაძეს ვანო ჩხარტიშვილის ნათესაობა ამოუქექეს და ნაცმოძრაობის დატოვება და ა. შ. ეს რამდენად სწორია?***

– ფაქტია, რომ ის იყო გრიგოლ ვაშაძის შტაბის უფროსი და ის რჩება ოპოზიციურ სპექტრში. მაგრამ ერთ დღეში შეთანხმება ვერ მოხდება, მაგრამ უფრო დიდი პრობლემაა, რომ ჭორის არგაფანტვა მიდის. უნდა შეახსენონ, რომ შეცდომები იყო, მაგრამ გაცილებით მეტი რეფორმა გატარდა და ქვეყანა მიდიოდა წინ. ბევრი მიმართულებით გვქონდა წინსვლა და ამაზე უნდა ისაუბრონ.

ოპოზიცია საინფორმაციო ომს აგებს ხელისუფლებასთან და ასევე უნდა დაუჭირონ მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს.

***– რა სახის პოლიტიკოსია ირაკლი კობახიძე?***

– ჩემთვის მიუღებელია. მამამისს ვიცნობ და პატივს ვცემ. მასაც შევხვედრივარ კონფერენციებზე. მაგრამ ჩემთვის მიუღებელია იგივე გოიმების ძახილი ან ოპოზიციის რუსეთთან კავშირის დაბრალება. ვიღაცა დაიჯერებს ამას. საინფორმაციო პროპაგანდამ იმუშავა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დროს. გამოიყენეს გრიგოლ ვაშაძის რუსეთში ცხოვრება და საგარეო სამინისტროში მუშაობა. დააბრალეს პრორუსობა და მაშინ გაერთიანებულმა ოპოზიციამ წააგო საინფორმაციო ომი. თუ დიპლომატიის სწავლა გინდოდა, მაშინ რუსეთში უნდა წასულიყავი. ოპოზიციას უნდა გაეცა პასუხი, რომ კომუნისტური მმართველობის დროს ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სწავლობდნენ და ამის გამო პრორუსები იყვნენ?! მაგრამ გახარია რუსეთში მას შემდეგ სწავლობდა, რაც სსრკ დაიშალა, ასევე ყოფილი პრემიერი. მაშინ ბევრმა დაიჯერა, რომ ვაშაძე რუსეთის აგენტია და სალომე ზურაბიშვილი, რომელიც პარიზში დაიბადა და გაიზარდა, თურმე პროდასავლელია. მე ვიცნობ ვაშაძეს და ვიცი, რომ პროდასავლელი, დემოკრატიული შეხედულებების ინტელიგენტია.

20 ივნისს უნდა გაჟღერდეს „ოცნების“ დროს ჩადენილი ბევრი შეცდომა, რბილად რომ ვთქვათ. სწორი საინფორმაციო კამპანიაა საჭირო, თორემ „ოცნებამ“ ჩამოიყვანა მეორე ტურში ისრაელიდან პიარ მენეჯერი და მეორე ტური მოიგეს. კი, იყო გაყალბებაც, მაგრამ ზოგი მართლა გამოვიდა, დააჯერეს, რომ გრიგოლ ვაშაძე კაგებეს აგენტია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „დიდი სიფრთხილე მართებს ხელისუფლებას!“

## „თუ ოდესმე ამ ქვეყანაში ნორმალური ხელისუფლება მოვა, მაშინ ეს ყველაფერი დალაგდება და ერთხელ და საბოლოოდ გამოაშკარავდება, რეალურად ვინ ვინ იყო და ვინ ვის ინტერესებს ემსახურებოდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძის ბრალდებებზე ოპოზიციის მისამართით, რომ სწორედ მათ აწყობთ ქვეყანაში დესტაბილიზაცია, ნინო ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილისგან ითხოვს პასუხს. ურთიერთბრალდებები კიდევ უფრო გამწვავდება წინასაარჩევნოდ?***

– უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია და როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული პოლიტიკის ტრადიცია გრძელდება. საუბარი რუსულ კვალზე, აგენტურაზე, კიდევ უფრო მკვეთრი და აქტიური გახდება. ერთი მხრივ, ხელისუფლება ადანაშაულებს ოპოზიციას რუსეთუმეობაში და მეორე მხრივ, ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს პრორუსულობაში. იმ ხელისუფლებამ, რომელიც ახლა ოპოზიციაშია, გვახსოვს, როგორ გამოაცხადა მთელი მაშინდელი ოპოზიცია რუსეთის აგენტად. ახლაც ზუსტად იგივეს ვუყურებთ.



განსხვავება მხოლოდ ერთშია, როდესაც ხელისუფლება ვიღაცას ასეთ მძიმე ბრალს დებს და ოპოზიციას ამხელს რუსულ კავშირებში, ის ვალდებულია დამადასტურებელი არგუმენტი, საბუთი დადოს. თუ ამას არ აკეთებს, ე.ი. არგუმენტიც არ აქვს. ეს არც მაშინ მომხდარა და, როგორც ჩანს, არც დღეს მოხდება.

„ლეიბორისტების“ ფანჩატურში, როგორც კობახიძე ამბობს, ურთიერთბრალდებებიც არის ამ მიმართულებით და ამ შემთხვევაში მე თაკო ჩარკვიანს გავიხსენებ, რომელიც ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით აკეთებს ამგვარ განცხადებებს. ეს საშინელებაა საყურებლადაც და მოსასმენადაც. ამიტომ, მოგვიწევს ეს 5 თვე ამ საშინელებას ვუყუროთ.

***– რუსულ ინტერესებზე საუბარი კიდევ უფრო გააქტიურდა გიორგი გაბუნიას საქმის შემდეგ. ოპოზიცია ხელისუფლებაზე ამბობს, რომ ის ამ საქმესთან დაკავშირებით რუსეთს, როგორც ასეთს, არც კი ახსენებს. რეალურად რასთან შეიძლება საქმე გვქონდეს?***

– თუ ოდესმე ამ ქვეყანაში ნორმალური ხელისუფლება მოვა, მაშინ ეს ყველაფერი დალაგდება და ერთხელ და საბოლოოდ გამოაშკარავდება, რეალურად ვინ ვინ იყო და ვინ ვის ინტერესებს ემსახურებოდა. არის ვერსია და ძალიან დიდი ალბათობით ეს საქმე სწორედ რუსეთიდან მომდინარე არის, მაგრამ არა იმიტომ, რომ გიორგი გაბუნიამ პუტინს აგინა, არამედ რუსეთს დღეს ნამდვილად აძლევს ხელს საქართველოში დესტაბილიზაცია.

ეს შეუძლია ღიად ილაპარაკოს ოპოზიციამ, მაგრამ ამას ასე ღიად ვერ ილაპარაკებს ხელისუფლება თუ მას არ აქვს რეალური არგუმენტები, იმის დამადასტურებელი, რომ სწორედ რუსეთი აწყობდა საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტს. ამიტომ, ასე ხელაღებით იმის თქმა, რომ ხელისუფლება, რადგან რუსეთს არ ახსენებს, პრორუსულია ან ხელს აფარებს რუსეთს, ან ეშინია, არ შეიძლება.

ჩემი აზრით, ოპოზიცია ხელისუფლებას სულ სხვა რამეზე უნდა ედავოს. უნდა ედავოს იმაზე, რომ ხელისუფლებას იმავე წუთში უნდა მოეთხოვა დასავლელი პარტნიორების, ამერიკის თუ ევროპის ჩართვა და საერთაშორისო გამოძიების წარმოება კონკრეტულად ამ საქმეზე. აი, აქ უნდა ედავოს ოპოზიცია ხელისუფლებას. ეს არის დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი და ეს უნდა იყოს მოთხოვნილი და არ ის, რომ რომელიმე მაღალჩინოსანი გამოვარდეს და გულზე მჯიღის ცემით თქვას – ვიცი, რუსული კვალია!

სხვა საკითხია, როდესაც ხელისუფლება ცდილობს, თამაში სხვა მხარეს გადაიტანოს და ეს ყველაფერი ოპოზიციას დააბრალოს. ეს ურთიერთბრალდებები ძალიან მოსაბეზრებელია, რბილად რომ ვთქვათ. ეს ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობიდან მოდის და იმ ტალღიდან ვერა და ვერ გამოვედით. ბევრად უფრო საქმიანი და ბევრად უფრო რაციონალურები უნდა იყვნენ როგორც ოპოზიცია, ისე ხელისუფლება. ინფანტილური მიდგომა სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია, როდესაც საქმე სახელმწიფოს, მის მოქალაქეს და ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება.

***– ბატონო ვახტანგ, ვინაიდან ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია წინ, შეიძლება ქვეყანაში დესტაბილიზაცია გარედან მართლაც აწყობდეს ვიღაცას? შეიძლება დესტაბილიზაციის საფრთხე ბოლომდე არც იყოს აღკვეთილი?***

– სრულიად შესაძლებელია. ძალიან რთული ვითარებაა. ძალიან შეიცვალა მსოფლიო. მსოფლიო პანდემიამ ერთგვარი პოლიტიკური გადალაგებაც კი მოახდინა და აქ მე მხოლოდ ეკონომიკას არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს. საკმაოდ მნიშვნელობანი მსოფლიო გადალაგება მოხდება და,

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ოცნებამ“ საერთოდ ვერ ააწყო ურთიერთობა ამერიკის კონგრესთან და სენატთან“

## პეტრე მამრაძე: „მე ვიცი, როგორი გაოგნებულები იყვნენ ამერიკელი დიპლომატები „ოცნების“ წარმომადგენლებთან ურთიერთობის შემდეგ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.**

***– ბატონო პეტრე, მოგეხსენებათ, ამერიკელმა კონგრესმენებმა თავის ანგარიშში ჩაწერეს, რომ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი დესტაბილიზაციას უწყობს ხელს. ახლახან პრემიერმა განაცხადა, რომ ისინი ხშირად ძალიან ცდებიან. როგორია თქვენი შეფასება, რას ნიშნავს, როდესაც ერთი ქვეყნის კონგრესის წარმომადგენლები მეორე ქვეყნის მმართველი პარტიის თავმჯდომარეზე ამბობენ, რომ ის დესტაბილიზაციას უწყობს ხელს?***

– მათი სრული უფლებაა, რას იტყვიან. ამით არაფერს არღვევენ. მეც, როცა საქართველოს პარლამენტის წევრი ვიყავი, სრული უფლება მქონდა, ვთქვათ, მეთქვა, რომ რუსეთში პუტინი ნამდვილად მოქმედებდა რუსეთის ინტერესების საზიანოდ. სინამდვილეში პუტინი ანადგურებდა რუსეთს. ახლაც შემიძლია ეს ვთქვა, როგორც ექსპერტმა და ანალიტიკოსმა, მაგრამ მთავარი სხვა საქმეა.

***– რა არის მთავარი?***

– 2012 წელს ამერიკელმა კონგრესმენებმა და სენატორებმა, რომლებიც ფლობდნენ ინფორმაციას, რას წარმოადგენდა სააკაშვილის ნაციონალური რეჟიმი (ამაზე ბევრი დაიწერა, როგორც სახელმწიფო დეპარლამენტების ანგარიშებში, ისე სხვა ცნობილი ანალიტიკოსების მიერ), აიძულეს სააკაშვილი ხელისუფლებიდან წასულიყო.

ჰილარი კლინტონი პირდაპირ აფრთხილებდა სააკაშვილს – მაშინდელ პრემიერ გილაურს ეუბნებოდა, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გამარჯვება არ შეგიძლიათ, რადგან ავტორიტარული რეჟიმი გაქვთ, გაყალბებით და იძულებით იღებთ შედეგს. ამიტომ, თუ თქვენ კიდევ გამოაცხადებთ, რომ არჩევნებში „გაიმარჯვეთ“, ჩვენ პირდაპირ გამოვაცხადებთ, რომ ხელისუფლების უზურპირება მოახდინეთ. შესაბამისად, ობამას ცნობილი ფრაზა, თქვენ უნდა გადააბაროთ ხელისუფლება, ამას ეხება.

სწორედ კონგრესმენები რიში და შაჰინი შევიდნენ სააკაშვილთან 2012 2 ოქტომბერს და უთხრეს, არჩევნები წაგებული გაქვთ და თუ არ აღიარებთ, ვიტყვით, რომ ხელისუფლების უზურპაციას ახდენთ.

ამის შემდეგ უცხოელებთან ურთიერთობაში „ოცნებამ“ მშრალი ანგარიშით წააგო ყველა ჯურის ნაცისტებთან, სააკაშვილი იქნება ეს თუ ბოკერია.

***– ლობისტების საშუალებით?***

– არა, იმის საშუალებით, რომ „ოცნების“ შემადგენლობას კულტურულად, ფსიქოლოგიურად არ შესწევდა უნარი ურთიერთობისა იმ ადამიანებთან (ისეთი ურთიერთობისა), რომ მათთვის დამაჯერებელი ყოფილიყო.

***– ერთ-ერთმა კონგრესმენმა განაცხადა, რომ დასკვნა არც კი წაუკითხავს. ტექსტი დაქირავებულმა ექსპერტებმა დაწერეს და არ იცის, ტექსტში ბიძინა ივანიშვილის შესახებ ფრაზა საიდან გაჩნდა. ეს რას ნიშნავს?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ „ოცნებამ“, საერთოდ, ვერ ააწყო ურთიერთობა ამერიკის კონგრესთან და სენატთან. როგორ უნდა აჯობონ ნაცისტებმა ლობისტების დაქირავებაში მმართველ პარტიას? მე ვიცი, როგორი გაოგნებულები იყვნენ ამერიკელი დიპლომატები „ოცნების“ წარმომადგენლებთან ურთიერთობის შემდეგ.

***– რატომ?***

– ვინ არიან ესენი, არც ლაპარაკი შეუძლიათ და არც პასუხის გაცემა შეუძლიათო. სულ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ვიღაცის მითითებას ელოდებიან, ვიდრე ერთ ფრაზას მაინც იტყვიან, ანუ, საერთოდ, თავისუფლების ხარისხი არ აქვთო. მართლაც ასეა.

***– როგორ?***

– ეს უბედურები საქართველოს უდიდეს ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილს აღიქვამენ, როგორც ხაზეინს, როგორც ბოსს, ვაითუ, მერე რამე არ მოეწონოსო. ამიტომ ისინიც კი, ვინც თავიდან (2012 წელს) ასე მიესალმნენ „ოცნებას“, მერე გაწბილდნენ, რადგან ამ ადამიანებთან ურთიერთობა არ აეწყო.



### ვინ არიან ესენი, არც ლაპარაკი შეუძლიათ, არც პასუხის გაცემაო

აქ გაჩნდა დიდი კულტურულ-სოციალური უფსკრული „ოცნების“ წარმომადგენლებსა და ამერიკელ კონგრესმენებს შორის. ამიტომ პასუხისმგებლობა იმაზე, რაც კონგრესმენების მცირე ნაწილმა (13 კონგრესმენი რა არის, 400-ზე მეტ კონგრესმენში) დასკვნაში ჩაწერა, „ოცნებას“ ეკისრება.

***– მცირე ნაწილია (13 კონგრესმენი), მაგრამ მათი წერილები და საყვედურები ქართულ საზოგადოებაში მტკივნეულად აღიქმება.***

– რა თქმა უნდა, მტკივნეულად აღიქმება. კარგია, რომ ყოფილმა ელჩმა, ცნობილმა დიპლომატმა უილიამ კორტნიმ განაცხადა: კი ბატონო, „ოცნებას“ მეც ვაკრიტიკებ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ და ვერ ვიტყვი იმას, რომ ივანიშვილი ყოფილა რუსეთის მსახვრალი ხელი და დესტაბილიზაციას უწყობს ხელს. ეს ასე არ არისო.

ჩვენთან იციან ხოლმე გადაბრალება და შეთქმულების თეორიების წამოყენება, მაგრამ არა, „ოცნებამ“ ამ წლებში ჩემ თვალწინ მთლიანად წააგო – დასავლელ დიპლომატებთან თუ მოღვაწეებთან ურთიერთობა ვერ შეძლო. ამ ადამიანებს მათთან ურთიერთობების აწყობა არ შეუძლიათ.

***– ეპისტოლური ჟანრი შეიძლება გამოიყენო მტრული ქვეყნის ხელისუფლებების მიმართ, ხომ შეიძლება სხვაგვარი ურთიერთობები ჰქონდეთ?***

– ასეც იყო, განცხადებაც ბევრი გაუკეთებიათ, მაგრამ ანგარიშები შედის კონგრესის წესდებაში. ასეთი ანგარიშები მზადდება და ხელი ეწერება, დოკუმენტი ხომ უნდა დარჩეს. ეს დოკუმენტია.

ის, რომ კონგრესის მცირე ჯგუფი დეზინფორმირებულია ქართველი ნაცისტების მიერ, ეს არის „ოცნების“ მარცხი და ნაცისტების გამარჯვება. ძალიან დიდი „მონდომება“ იყო საჭირო, რომ „ოცნება“ ამერიკელ სენატიორებთან და კონგრესმენებთან ურთიერთობის ესოდენ დიდი სასტარტო პოზიციებიდან, როგორიც იყო 2012 წელს, დღევანდელ მდგომარეობამდე მისულიყო.

მოგეხსენებათ, 2012 წლის ზაფხულში საქართველოში ჩამოსულმა მაკკეინმა პოლიტიკური სილა გააწნა სააკაშვილს. შეგახსენებთ, სააკაშვილმა ურცხვად და ცინიკურად თქვა ივანიშვილზე, ეს ხომ პუტინის გამოგზავნილი კაცია, ის ხომ პუტინის დაფინანსებულია, ამის უკან ხომ რუსეთი დგას და რუსეთის ხელიაო.

ურცხვად და უტიფრად იმიტომ, რომ წლების განმავლობაში ივანიშვილი აფინანსებდა სააკაშვილს, პოლიციის, თავდაცვის, განათლების სფეროს რეფორმებს, მილიარდებს ხარჯავდა. მაშინ მათთვის ივანიშვილის ფინანსები რუსული ფული არ იყო. როდესაც ნაცისტებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ივანიშვილმა გადაწყვიტა (სხვა გზა არ ჰქონდა) პოლიტიკაში ჩართულიყო, უცებ რუსეთის გამოგზავნილად გამოაცხადეს. მანამდე, ოღონდ ფული მიეცა, სააკაშვილი რას არ კადრულობდა.

სააკაშვილის ამ განცხადებაზე, მაკკეინმა ცივად გამოაცხადა, ჩვენ, ამერიკელებმა, ყველაფერი ზედმიწევნით გულმოდგინედ შევამოწმეთ და დავადგინეთ: არავითარი რუსული ფული, არავითარი რუსული ხელი ივანიშვილის უკან არ დგასო. ეს იყო პოლიტიკური სილა, რომელიც მაკკეინმა გააწნა სააკაშვილს, აქ ვიღაცებს რომ ჰგონიათ, მაკკეინი სააკაშვილის ძმაკაცი იყო.

***– კი, კი, ასე ჰგონიათ.***

– ჩვენთან არის ყბადაღებული პროვინციალიზმი. ამის შემდეგ მაკკეინი ჩვენს საერთო მეგობრებს ეუბნებოდა (მაკკეინს მხოლოდ ერთხელ შევხვდი), რა ხდება, ხალხო, ახლანდელმა ხელისუფლებამ, საერთოდ, ჩვენთან ყველანაირი ურთიერთობა, ყველა კონტაქტი გაწყვიტაო.

***– მაკკეინთან ურთიერთობა რატომ გაწყვიტეს?***

– იმიტომ, რომ „ოცნებაში“ ტრიალებდა, მაკკეინი სააკაშვილის ძმაკაციაო. არიქა, ვინმე თუ გაეკარება... არჩილ გეგეშიძე საქართველოს ელჩი ამერიკაში მოხსნეს იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტს აეროპორტში დახვდა. ეს ატმოსფერო, ვაითუ, ხაზეინს არ მოეწონოსო, დამღუპველი იყო, პირველ რიგში, ივანიშვილის იმიჯისთვის.

# ვახტანგ ძაბირაძე: „დიდი სიფრთხილე მართებს ხელისუფლებას!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ცხადია, ეს ჩვენს ქვეყანასაც გარკვეულწილად შეეხება. ამ შემთხვევაში, ცხადია, გაჩნდება ცდუნება რუსეთის მხრიდან, რომ უფრო მარტივად შეძლოს მან თავისი ინტერესების განხორციელება. ის ამ ფანჯარას ხედავს და ცდილობს, ეს ფანჯარა გამოიყენოს, როდესაც პანდემიის გამო ამერიკას, ზოგადად დასავლეთს არავისთვის არ სცალია. ამიტომ, მთელ პოლიტიკურ სპექტრს ოპოზიციასაც და, რა თქმა უნდა, გაორმაგებული პასუხისმგებლობით ხელისუფლებას მოუწევს ამ ყველაფერზე დაფიქრება.

ძალიან კარგია, რომ ხელისუფლებამ ეს ფაქტი დროულად აღკვეთა და ღმერთმა დაგვიფაროს ადამიანის ლიკვიდაციისგან, მაგრამ საფრთხეები შეიძლება კიდევ იყოს სრულიად სხვა მიმართულებითაც, ამიტომ დიდი სიფრთხილე მართებს ხელისუფლებას. ფრთხილად უნდა იყოს ოპოზიციაც, რადგან არის ცდუნება, რომ აქ, საქართველოში ისე გადაწყდეს რაღაც, როგორც აწყობს ვიღაცას ქვეყნის გარეთ.

პასუხისმგებლობა ორივე მხარეს ეკისრება, მაგრამ დიდი სხვაობით. ოპოზიციას მხოლოდ პოლიტიკური, მორალური პასუხისმგებლობა, ხელისუფლებას კი რეალური, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკისრება. განსხვავება არის როგორც ცა და დედამიწა.

# ამერიკელი ექსპერტები დასავლეთს კრემლის მიმართ პოლიტიკის გამკაცრებისკენ მოუწოდებენ

## „პუტინი ემუქრება საქართველოს სუვერენიტეტს“

მარიამ მჭედლიშვილი

კორონავირუსის პირველი ტალღა რუსეთში არ ჩამცხრალა. მიუხედავად ამისა, 24 ივნისს მოსკოვში გაიმართება მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი და სხვა ღონისძიებები. ამ დღისთვის დასავლეთის ლიდერების აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის ფედერაციაში არ ჩავა. აღლუმს დაესწრებიან რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ორი წარმონაქმნის – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ხელმძღვანელები.



ჩინური გამოცემების შეფასებით, მოსკოვის წითელ მოედანზე დაგეგმილი პარადი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულების ხსოვნას არ ეძღვნება. ეს იქნება რუსეთის სამხედრო ძლიერების დემონსტრირება მთელი მსოფლიოსთვის და მოდერნიზირებული შეიარაღების გამოფენა.

ჩინელი ავტორების აზრით, ეს ასევე იქნება პასუხი დასავლეთისთვის, რომელიც ცდილობს გამოთიშოს რუსეთი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულების სიიდან.

რუსი და ჩინელი ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ კორონავირუსის პანდემიის შემდგომ პერიოდში მსოფლიოში კონფიგურაცია იცვლება. რუსეთი და ჩინეთი მოიაზრებიან „დიდი ევრაზიის“ პროექტის შემადგენელ ნაწილებად. ჩინეთს ამ სივრცეში საკვანძო როლს უწინასწარმეტყველებენ. საუბარია იმაზეც, რომ „დიდი ევრაზიის“ მრავალმხრივი გაერთიანება მოიცავს აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებსაც.

საქართველოს მიმართ რომ ვაშინგტონის დაინტერესება იზრდება, ამას აშშ-იდან მომდინარე გზავნილები, წერილები და მოწოდებები ადასტურებს. აშშ არც რუსეთ-ჩინეთისა და სხვა სტრატეგიული მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტს.

ამერიკელი დიპლომატი, ყოფილი მაღალჩინოსანი და მეცნიერი ვიქტორია ნულანდი აშშ-ის ხელისუფლებას კრემლის მიმართ პოლიტიკის გამკაცრებისკენ მოუწოდებს.

იგი რამდენჯერმე ახსენებს საქართველოს და აცხადებს, რომ რუსეთი ემუქრება საქართველოს სუვერენიტეტს.

მისი შეფასებით, ბოლო წლებში ვაშინგტონი რუსეთის მიმართ საკმარის სიმკაცრეს არ იჩენდა, რამაც პუტინი გაათავხედა.

შემოდგომაზე აშშ-ში ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. ვიქტორია ნულანდის სიტყვებით, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს ამ არჩევნებში, მას პუტინთან ურთიერთობები ახლიდან ექნება ასაწყობი. შესაქმნელია აშშ-ისა და მისი მოკავშირეების უსაფრთხოების ინტერესების დაცვის ერთიანი სისტემა. მან უნდა იმუშაოს იქ, სადაც მოსკოვი დასავლეთს იწვევს. ამერიკის ინტერესები დაცული იქნება უფრო აქტიური პოლიტიკის პირობებში.

ვიქტორია ნულანდი შეცდომად მიიჩნევს პასიურობას ნატოს გაფართოებაში და ზოგიერთი ქვეყნის ყოფნას „გეოპოლიტიკურად რუხ ზონაში“. ეს ნიშნავს ამ ქვეყნების დატოვებას უსაფრთხოებისა და თავისუფლების გარეშე. მაგალითებად მას მოჰყავს რუსეთის სასტიკი მოპყრობა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისადმი.

დიპლომატის თქმით, საკუთარი ძალების აღდგენის შემდეგ აშშ-ს ექნება მეტი შესაძლებლობა აიძულოს რუსეთი, მიუჯდეს მოლაპარაკებების მაგიდას. დასავლეთმა უფრო მკაფიოდ უნდა აუხსნას რუსეთს, რა პირობების დაკმაყოფილების შემდეგ მოუხსნის 2014 წლიდან დაწესებულ სანქციებს.

საქართველო, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად რჩება აშშ-ის ყურადღების ცენტრში. ბოლო თვეებში ამ ქვეყნების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენისკენ და დასავლეთის კონსოლიდაციისკენ აშშ-ის ადმინისტრაციას სხვა ექსპერტებიც ურჩევენ.



აშშ-ში მიმდინარე პროცესები აბათილებს რუსეთის ნიუსებს ამერიკის დასუსტებასა და საკუთარი ლიდერობის უარყოფაზე. აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებისა კი, აშშ-ის ქვეყნების კონფლიქტებში ჩაურევლობაზე, ძალიან ცოტას თუ სჯერა.

მსოფლიოში, ასევე რეგიონში შექმნილი დაძაბულობა გაამწვავებს საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა საქართველოს ოფიციალურად ევროატლანტიკური კურსი აქვს არჩეული, პოლიტიკოსების ნაწილი კი მოსახლეობაში ატარებს გამოკითხვას ქვეყნის ნეიტრალიტეტზე. მოსახლეობაში ასევე ინერგება აზრი ევროკავშირის მოსალოდნელ დაშლაზე.

# საქართველოს 6 სასტუმროს ხელმძღვანელები ჯავშნიდნენ სასტუმროს ნომრებს და უცხოელებს ბარათებიდან ფულს აჭრიდნენ

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა, რის შედეგადაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ. ამის შესახებ გუშინ, 18 ივნისს, გენერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში მოქმედი 6 სასტუმროს ხელმძღვანელობითი და მმართველობითი უფლებამოსილების მქონე პირები, სხვადასხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების კუთვნილი ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდნენ ბრალდებულებთან გ.კ. და კ.ა.-სთან და დანაშაულებრივი ჯგუფის საზღვარგარეთ მყოფ სხვა წევრებთან.

„დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ე.კ.-მ, ლ.გ.-მ, გ.გ.-მ, ვ.ნ.-მ, შ.ი.-მ, და ლ.დ.-მ, მათივე მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული კომპანიების სახელზე, რომლებიც სასტუმრო მომსახურებას ეწეოდნენ, საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში გახსნეს საბანკო ანგარიშები და პოს ტერმინალისა და „ჯეო ფეის“ საგადახდო სისტემის მომხმარებლებად დარეგისტრირდნენ.

აღნიშნულით, მათ მიეცათ შესაძლებლობა პოსტერმინალში და „ჯეო ფეის“ გადახდის სისტემაში, სხვადასხვა უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირების საბანკო ბარათების მონაცემების შეყვანის გზით, ბარათებიდან ჩამოეჭრათ თანხა და გადაეტანათ მათთვის სასურველ საბანკო ანგარიშებზე.

ბრალდებულები მათ მფლობელობაში არსებული სასტუმროების ნომრებს არარსებული მომხმარებლების სახელით ჯავშნიდნენ სასტუმროს ნომრების დისტანციურად დაჯავშნის სერვისის მომწოდებელი პოპულარული ვებგვერდების მეშვეობით. დაჯავშნილი ნომრების მათ მიერვე ხელოვნურად გაზრდილი ღირებულების გადახდისას, ბრალდებულებს პოსტერმინალში და „ჯეო ფეის“ საგადახდო სისტემაში შეჰყავდათ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების უკანონოდ მოპოვებული საბანკო ბარათების მონაცემები და ამ გზით ბარათებიდან აჭრიდნენ დიდი ოდენობით თანხებს.

საბანკო ანგარიშებიდან განაღდების შემდგომ კი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხები, წინასწარ შეთანხმებული პროცენტულობის შესაბამისად, ნაწილდებოდა საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სხვა სახელმწიფოში მყოფ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის.

ზემოაღნიშნული ქმედებით, საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს 687.321 ლარის და 60.400 აშშ დოლარის ოდენობის ზიანი მიადგათ.

2020 წლის 16-17 ივნისს ე.კ-ს, ლ.გ-ს, გ.გ-ს, ვ.ნ-ს, შ.ი-ს, ლ.დ-ს, გ.კ-ს, და კ.ა-ს, წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას და საერთაშორისო თანამშრომლობას, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.



გუშინვე ტრანსნაციონალური დანაშაულის საქმეზე ბრალდებულ 7 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ საქმის პროკურორმა სალომე ჩიქობავამ ჟურნალისტებთან განაცხადა, 7 პირიდან სასამართლო პროცესს 4 ესწრებოდა, 3 პირი მიმალვაში იმყოფება, მერვე ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიებაზე, რომელიც პატიმრობაში არაა, ცალკე იმსჯელებენ.

– სასამართლომ სრულად გაიზიარა 7 პირის შემთხვევაში ბრალდების მხარის არგუმენტები, მიიჩნია, რომ მათი მხრიდან მიმალვის, მტკიცებულებების განადგურებისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე არსებობს. შესაბამისად, მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

რაც შეეხება მტკიცებულებებს, გამოძიების მიერ მოპოვებულია არაერთი მტკიცებულება, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით მოპოვებულია არაერთი მტკიცებულება, რაც სრულად ადასტურებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას, – განაცხადა ჩიქობავამ.

მისივე განმარტებით, ყველა დაზარალებული პირი იდენტიფიცირებულია.

– ჯამში ბრალი 8 პირს აქვს წაყენებული, აქედან დღეს, 7 პირის მიმართ იქნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებული. რვავე პირი საქართველოს მოქალაქეა. იდენტიფიცირებულია ყველა დაზარალებული, მოპოვებულია მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, მათ შორის, აიპი მისამართების შესახებ.

არაერთი დაზარალებულია, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეები და საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებები. ბრალდებულები მათ სარგებლობაში არსებული პოსტერმინალების მეშვეობით არარეზიდენტ ფიზიკურ პირებს აჭრიდნენ მათი ნებართვის გარეშე ფულად თანხებს. მათ მიერ წინასწარ მოპოვებული იყო არარეზიდენტი ფიზიკური პირების პლასტიკური ბარათების მონაცემები, რაც შესაძლებლობას აძლევდა მათ პოსტერმინალზე ამ ბარათის ნომრის შეყვანის შემთხვევაში თანხა ჩამოჭროდა დაზარალებულებს. თანხა ირიცხებოდა მათ საბანკო ანგარიშებზე და შემდეგ ნაღდი ანგარიშსწორებით გამოჰქონდათ, – განაცხადა ჩიქობავამ.

❖ ❖ ❖

ერთ-ერთი დაკავებულის, ვაჟა ნებიერიძის, ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სხვა დაკავებულებს არ იცნობს.

მისივე თქმით, ყველას საქმე არის სხვადასხვა, განცალკევებული ეპიზოდები და ერთმანეთთან არც ერთი არ არის კავშირში.

როგორც ადვოკატმა დავით აბესაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, პროცესზე 10.000 ლარის ოდენობით გირაოს შეფარდებას ითხოვდნენ, თუმცა საქალაქო სასამართლომ ვაჟა ნებიერიძე პატიმრობაში დატოვა და აღნიშნულ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ვაჟა ნებიერიძე იყენებს დუმილის უფლებას. სამართლებრივად ითვლება, რომ ის არ თვლის თავს დამნაშავედ. შეფარდებული აქვს სასამართლოს მიერ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა, თუმცა ჩვენ ვითხოვდით გირაოს შეფარდებას 10.000 ლარის ოდენობით, რაც არ დაკმაყოფილდა. სავარაუდოდ, ბრალდებულთან შეთანხმებით მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ გავასაჩივროთ სასამართლოს განჩინება სააპელაციო სასამართლოში. ვიდეომტკიცებულებებზე დასადგენია, ხომ არ არსებობს მონტაჟის კვალი და რამდენად ავთენტიკურია ის, ამას დავადგენთ ექსპერტიზის მეშვეობით.

მე არც ერთ ბრალდებულს არ ვიცნობ, გარდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისა და არც ის იცნობს სხვას, ეს არის სხვადასხვა განცალკევებული ეპიზოდები და ერთმანეთთან არც ერთი არ არის კავშირში. რაც შეეხება სხვა მტკიცებულებებს, ისინი არ მიუთითებს დანაშაულზე, არამედ მიუთითებს უბრალოდ ქმედებების განხორციელებაზე, რაც სავსებით ლეგიტიმურია. მათ შორის გადარიცხვები, ხელფასების გაცემა და სხვა, – განაცხადა დავით აბესაძემ.

ადვოკატის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობილია საქართველოს რამდენიმე ბანკი და მათ რიცხვს არ განეკუთვნება უცხოეთის რომელიმე მოქალაქე ან უცხოეთის ბანკი.

– არც ერთი ანგარიშზე არ არის დადგენილი, რომ ის ფიქტიურია ან ყალბია, ამის დადგენას ცდილობს გამოძიება, მაგრამ დაადგენს თუ არა, ეს მეორე საკითხია. სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, დაზარალებულად ცნობილია საქართველოს რამდენიმე ბანკი, არც ერთი უცხოეთის მოქალაქე ან უცხოეთის ბანკი არ არის ცნობილი დაზარალებულად და ვერც იქნება იმიტომ, რომ მათ რაიმე სახის მატერიალური ზიანი არ მიუღიათ, – აღნიშნა დავით აბესაძემ.

## დავით ცინარიძე სასამართლომ პატიმრობაში დატოვა



ოჯახური ძალადობის ბრალდებით დაკავებული საპატრულო პოლიციის ყოფილი უფროსი დავით ცინარიძე კვლავ პატიმრობაში რჩება.

გუშინ, 18 ივნისს, გამართულ სასამართლო პროცესზე, სადაც მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელეს, ცინარიძის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა. ბრალდების მხარე დაკავებულის მიმართ კვლავ პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. როგორც პროკურორმა განმარტა, ახალი გარემოება, რაც ცინარიძის მდგომარეობას შეამსუბუქებდა, არ გამოკვეთილა.

ამასთან, ბრალდების მხარის განმარტებით, ცინარიძეს ბრალი ძალადობრივი ხასიათის ქმედებისთვის აქვს წარდგენილი და კვლავ არსებობს როგორც მიმალვის, ასევე ახალი დანაშაულის ჩადენისა და დაზარალებულზე ზემოქმედების საფრთხე.

დავით ცინარიძის ადვოკატი, კახაბერ ხვისტანი ბრალდების მხარის პოზიციას არ დაეთანხმა. როგორც ადვოკატმა განმარტა, ცინარიძის ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულს არ შეიცავს.

ხვისტანმა დავით ცინარიძის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გაუქმების და მის მიმართ 5.000-ლარიანი გირაოს გამოყენების შუამდგომლობა დააყენა. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული შუამდგომლობა დაზარალებულის გამოკითხვის ოქმზე დაყრდნობითაა, ვინაიდან ადვოკატის თქმით, დაზარალებულს სურს ცინარიძესთან თანაცხოვრების გაგრძელება.

მოსამართლე ალექსანდრე იაშვილის განცხადებით, დავით ცინარიძის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა ამ ეტაპზე ძალაში უნდა დარჩეს.

მოსამართლის განმარტებით, ახალი გარემოება უნდა არსებობდეს, რაც აღკვეთის ღონისძიების გაუქმების საფრთხეებს გააქარწყლებს. მოსამართლის განცხადებითვე, მოცემულ შემთხვევაში არსებობს დაზარალებულზე ზემოქმედების საფრთხე და გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო მიმალვის საფრთხეს არ დაეყრდნო, ვინაიდან ეს საფრთხე დასაბუთებული არ არის.

დავით ცინარიძე სამართალდამცავებმა 28 აპრილს დააკავეს. პროკურატურის ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა დავით ცინარიძემ მეუღლეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთჯერადად გაისროლა.

ცინარიძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარასა და ძალადობას გულისხმობს.

## გორში 19 წლის გ.გ.-მ 10 წლის გოგონას სექსუალური ფოტო გადააღებინა და მისთვის გააგზავნინა



პოლიციამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებისა და გარყვნილი ქმედების ფაქტზე გორში ერთი პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული გ.გ. პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, სხვაგვარი ქმედების იძულებისა და გარყვნილი ქმედების ფაქტზე, გორში დააკავეს.

დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მამაკაცი, სოციალური ქსელ ფეისბუკის დახმარებით, 2010 წელს დაბადებულ მ.ბ.-ს დაუკავშირდა, რომელსაც სექსუალური შინაარსის ფოტოებსა და შეტყობინებებს უგზავნიდა, რაზეც გოგონა პასუხობდა. მოგვიანებით, ბრალდებულმა მ.ბ. მათი მიმოწერის სოციალურ ქსელში გავრცელების მუქარით აიძულა, კვლავ გადაეღო სექსუალური შინაარსის ფოტო და ვიდეომასალა, რომელიც დაზარალებულმა მას გაუგზავნა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139 -ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტითა და 157-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებასა და გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.

## დოდო გუგეშაშვილი: „ზაზა მურჯიკნელი ბრალს არ აღიარებს“



თადარიგის პოლკოვნიკის დოდო გუგეშაშვილის ინფორმაციით, მისი მკვლელობის მცდელობასა და ნოდარ გუგეშაშვილის განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ზაზა მურჯიკნელი ბრალს არ აღიარებს.

მისივე თქმით, გამოძიება ქილერის გარდა დამკვეთების და შუამავლების გამოვლენასაც ცდილობს.

– მარტო ქილერის დასჯით არ იქნება საქმე ბოლომდე მიყვანილი, მას ჰყავს დამკვეთები და შუამავლები. დარწმუნებული ვარ, რომ ისინიც გამოვლინდებიან, რადგან მე ჩვენი გამოძიებით უზომოდ აღფრთოვანებული ვარ. პრაქტიკულად ერთი წელი მიმდინარეობდა ძიება და მათ დადეს თითქმის მკვდარი საქმისგან შედეგი. რამდენადაც ვხვდები, ახლა მიდის მუშაობა ქილერის გარდა დამკვეთების და შუამავლების გამოსაძიებლად. სამი უფლებადამცველი ჰყავს და ბრალს არ აღიარებს, ჩემთვის სულ ერთია, უფლებადამცველი რამდენიც უნდა, იმდენი ჰყავდეს, ჩემთვის მთავარია საქმე მივიყვანო გამოძიებასთან ერთად ბოლომდე, – განუცხადა დოდო გუგეშაშვილმა „ინტერპრესნიუსს“.

გუშინ, 18 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართა, სადაც მტკიცებულებების დასაშვებლობაზე იმსჯელეს.

ბრალდებულ ზაზა მურჯიკნელს ბრალდება სსკ-ს 109-ე მუხლის პირველი ნაწილისა „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დანაშაულის დაფარვისთვის) და 19-109 მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა) და ასევე 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა) ედება.

## „ვარკეთილის ბაზრობის ადგილზე დიდი კომპლექსის მშენებლობა იგეგმებოდა“

ვარკეთილის ბაზრობის ყოფილი მეწილის ზანდა მსხვილიძის წარმომადგენლის, გიგი სისვაძის განცხადებით, არსებობს ვერსია, რომ ბაზრობის ნაცვლად მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა იგეგმებოდა.

უფლებადამცველის განცხადებით, ხანძართან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს.

ამასთან, მისივე თქმით, ბაზრობის დამფუძნებლებს შორის გარკვეული დაპირისპირებაა.

– ეს ეჭვები იქიდან გამომდინარე წარმოიქმნა, რომ, ჩვენი ინფორმაციით, ბაზრობის დომინანტ დამფუძნებლებს შორის ამჟამად არის განხეთქილება. ბაზრობის ირგვლივ არსებობს არაერთი ვერსია, რაც ნანახი აქვს ზანდა მსხვილიძეს. უნდოდათ მისი დანგრევა, მარკეტის აშენება. იყო საუბრები, რომ არსებობდა ინვესტორი, ვისაც მშენებლობის განხორციელება უნდოდა. ეს უნდა ყოფილიყო მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. უნდა ყოფილიყო შიგნით სავაჭრო ცენტრი, საცხოვრებელი, კომერციული ფართები, 9.000 კვადრატულ მეტრზეა საუბარი, საკმაოდ დიდი ფართია.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ ბაზრობის ირგვლივ არსებობს რამდენიმე ვერსია. ბაზრობა დაიწვა და მიმართულება მიდის მერიისკენ, რომ ზიანი აანაზღაუროს ბაზრობის დაწვის საკითხთან დაკავშირებით. დაზარალებულები რატომ უნდა დააკმაყოფილოს მერიამ?




დაზარალებულები რატომ უნდა დაკმაყოფილდნენ ქვეყნის ბიუჯეტით? როცა ბაზრობა პირდაპირაა პასუხისმგებელი, რომ დაიცვას უსაფრთხოების წესები, რომ არ მოხდეს ასეთი რამ. ასევე, დაზღვევა არსებობს ამასთან დაკავშირებით. პოლიტიკური სარჩული მისცეს ამას, რომ თითქოს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობა არის, მიხედოს მოვაჭრეებს. ამაზე პასუხისმგებელია სადაზღვეო კომპანია და ბაზრობის ადმინისტრაცია, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მოვაჭრეების უსაფრთხოება, – განაცხადა გიგი სისვაძემ.

რამდენიმე დღის წინ ვარკეთილის შერეულ ბაზარში ხანძრის შედეგად 4.000 კვ-მდე სასაწყობე ჯიხურებია დამწვარი. აღნიშნულთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სსკ-ს 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

# ქოჩარიანს 4,1 მილიონი დოლარის გირაო შეეფარდა



სომხეთის სააპელაციო სასამართლომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, რობერტ ქოჩარიანის, დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და რობერტ ქოჩარიანის პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

ამის შესახებ ინფორმაციას სომხური მედია ავრცელებს.

ქოჩარიანი 2 მილიარდი დრამის (4.1 მილიონი აშშ დოლარი) გადახდის შემდეგ გათავისუფლდება.

2018 წელს რობერტ ქოჩარიანს ბრალი კონსტიტუციური წყობის დამხობისა და 2008 წლის 1-ელი მარტის აქციის დარბევისთვის წაუყენეს, რომლის დროსაც 10 ადამიანი დაიღუპა.

# თურქულმა ძალებმა ერაყში ქურთების 500-ზე მეტი სამიზნე გაანადგურეს



თურქეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თურქულმა ძალებმა ჩრდილოეთ ერაყში, 36-საათიანი ოპერაციის ფარგლებში, „ქურთისტანის მუშათა პარტიის" 500-ზე მეტი სამიზნე გაანადგურეს. სამინისტროს ინფორმაციით, ოპერაციაში თურქული ეფ-16 ტიპის გამანადგურებლები, დრონები და ქვემეხები იყვნენ ჩართული.

შეგახსენებთ, თურქეთმა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, ჰაფთანინის პროვინციაში, ოპერაცია „ვეფხვის კლანჭი" სამშაბათს დაიწყო. თურქეთი „ქურთისტანის მუშათა პარტიას" ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებს და მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციას ანტიტერორისტულ ოპერაციას უწოდებს.

# ჩეხეთი პირბადეების ტარების ვალდებულებას 1 ივლისიდან გააუქმებს



ჩეხეთის რესპუბლიკა პირბადეების ტარების ვალდებულებას 1 ივლისიდან გააუქმებს. როგორც ჩეხეთის ჯანდაცვის მინისტრმა ადამ ვიოტეხმა განაცხადა, ვირუსისგან დამცავი ნიღბების ტარება ივლისის პირველი რიცხვიდან სავალდებულო აღარ იქნება, მათ შორის დახურულ სივრცეებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

მინისტრის განმარტებით, პირბადის ტარება მოქალაქეებს მხოლოდ მწვავე ეპიდემიოლოგიური ვითარების მქონე დასახლებებში მოეთხოვებათ, როგორებიც ამჟამად არის ქალაქი კარვინა მორავია-სილეზიის მხარეში და პრაღა, თუმცა, მისი თქმით, სიტუაცია ცვალებადია და მომდევნო კვირებში კვლავ გადაიხედება.

ჯანდაცვის მინისტრმა აქვე ხაზი გაუსვა, რომ ვირუსი ჯერ კიდევ არსებობს და არსად გამქრალა.

ჩეხეთში ამ დრომდე კორონავირუსის 10.000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, 333 პაციენტი კი გარდაიცვალა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# წეროსხევის ღვთისმშობლის ეკლესია რეაბილიტირებულია




ატენის ხეობაში მდებარე წეროსხევის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი რეაბილიტირებულია.

ტაძრის რეაბილიტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და ფონდი „ქართუს" ფინანსური უზრუნველყოფით განხორციელდა.

ტაძარი უმძიმეს მდგომარეობაში იყო. პირველ რიგში, განისაზღვრა ტაძრის გუმბათის, თაღების, სვეტების და რიგელების სასწრაფო წესით აღდგენა. სამუშაოები უმკაცრესი სიფრთხილის ზომების დაცვითა და არქეოლოგის ზედამხედველობით მიმდინარეობდა.

წეროსხევის ღვთისმშობლის ეკლესიაში კედლების და გუმბათის ყელი შეიმოსა სპეციალურად შერჩეული ნიჩბისის ქვით; გაითალა იდენტური ლავგვარდანები და მოეწყო არსებულთან შესაბამისობაში; გუმბათზე მოეწყო ავთენტური, ახლად დამზადებული კრამიტი, ხოლო ტაძრის ქანობიან სახურავებზე დატანილ იქნა იმერული კრამიტი.

ტაძრის ინტერიერში არსებული ძველი წარწერები დაკონსერვდა სპეციალისტების მიერ; კანკელი აღდგა ნატურალურ ზომაში და დაკონსერვდა მისი შემორჩენილი ფრაგმენტი, იატაკი კი კირხსნარით მოიჭიმა.

# ნათია თოდუას საკონცერტო ტურნე ჩაეშალა



გერმანული „ვოისის" გამარჯვებულ ქართველ მომღერალ ნათია თოდუას დაგეგმილი საკონცერტო ტურნე ჩაეშალა.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– ჩემი ალბომის ტურნე, კონცერტები და ჯაზ-ბლუზ ფესტივალი, რომელიც წელს გერმანიის ქალაქებში იყო დაგეგმილი, სამწუხაროდ, ვერ ჩატარდება კორონას გამო.

ძალიან მომენატრა სიმღერა მუსიკოსებთან ერთად, სცენა და თქვენ!

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის ემოციები, რასაც მუსიკა მაძლევს, გაგიზიაროთ!

მუსიკა თავისუფლებას მჩუქნის, რომელიც იმხელაა და ისეთი ძლიერი, რომ მე ეს სიმღერით უნდა გამოვხატო.

როცა ვმღერი, მინდა, რომ თქვენ გხედავდეთ, თქვენს ემოციებს ვგრძნობდე და ვუზიარებდეთ ერთამენთს გულწრფელ სიყვარულს.

ჩემი მეგობრების დახმარებით ჩემი კონცერტი დაიგეგმა გემზე. გადავწყვიტე, გემიდან ვიმღერო თქვენთვის და ბერლინისთვის და შევასრულო სიმღერები ჩემი ალბომიდან და რამდენიმე ქავერი.

მადლობა ჩემს ძვირფას მეგობრებს სიყვარულისა და გვერდში დგომისათვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# საქართველო ბელარუსს 8 ოქტომბერს დაუხვდება



უეფამ აღმასრულებელი კომიტეტი სხდომა ვიდეოკონფერენციის ფორმატში გამართა, სადაც მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დასრულების გეგმაზე და ახალი სეზონის დაწყების თარიღზე იმსჯელა. ასევე ცნობილი გახდა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი ოფის გამართვის თარიღი.

უეფას გადაწყვეტილებით, ევრო 2020-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი ოფის მატჩი საქართველოსა და ბელარუსს შორის 8 ოქტომბერს გაიმართება. წყვილში გამარჯვებული გუნდი ფინალში 12 ნოემბერს ითამაშებს. საქართველო-ბელარუსს შორის გამარჯვებული ჩრდილოეთ მაკედონიასა და კოსოვოს შორის უმჯობესს შეხვდება. რაც შეეხება ერთა ლიგის ახალ გათამაშებას, მისი დაწყება კვლავ 3 სექტემბერს იგეგმება.

უეფას აღმასრულებელი კომიტეტის დასრულების შემდეგ, უეფას წევრი 55 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციების გენერალურ მდივნებს შორის ვიდეოკონფერენცია გაიმართა.

**ერთა ლიგის გათამაშების კალენდარი:**

**5 სექტემბერი:** ესტონეთი-საქართველო;
**8 სექტემბერი:** საქართველო-ჩრდ.მაკედონია;
**11 ოქტომბერი:** სომხეთი-საქართველო;
**14 ოქტომბერი:** ჩრდ.მაკედონია-საქართველო;
**15 ნოემბერი:** საქართველო-სომხეთი;
**18 ნოემბერი:** საქართველო-ესტონეთი.

შეგახსენებთ, რომ ევროტურნირებზე საქართველოდან 4 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: თბილისის დინამო ჩემპიონათა ლიგაში, ხოლო ევროპალიგაში – ბათუმის დინამო, საბურთალო და ლოკომოტივი.

გამომდინარე იქიდან, რომ ევროსეზონი გვიან იწყება, საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები ერთმატჩიანი იქნება – მასპინძელი გუნდი წილისყრის შედეგად გამოვლინდება. ფლეი ოფის რაუნდს კი კლუბები ტრადიციულად საკუთარ მოედანზე და სტუმრად ჩაატარებენ.

**უეფას ჩემპიონთა ლიგის 2020/21 წლის სეზონი:**

**8/11 აგვისტო:** საკვალიფიკაციო ეტაპის შესარჩევი რაუნდი;
**18/19 აგვისტო:** პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი;
**25/26 აგვისტო:** მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი;
**15/16 სექტემბერი:** მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი;
**22/23 და 29/30 სექტემბერი:** ფლეი ოფი;
**20 ოქტომბერი/9 დეკემბერი:** ჯგუფური ეტაპი.

**უეფას ევროპის ლიგა 2020/21 წლის სეზონი:**

**20 აგვისტო:** საკვალიფიკაციო ეტაპის შესარჩევი რაუნდი;
**27 აგვისტო:** პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი;
**17 სექტემბერი:** მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი;
**24 სექტემბერი:** მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი;
**1 ოქტომბერი:** ფლეი ოფი;
**22 ოქტომბერი/10 დეკემბერი:** ჯგუფური ეტაპი.

ქალთა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მინი ტურნირი 7-13 ოქტომბერს შედგება. წილისყრა ქალაქ ნიონში სექტემბრის პირველ კვირას გაიმართება.

21-წლამდე ნაკრებთა საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნითი მატჩები სექტემბერ-ნოემბერში არის დაგეგმილი.

19-წლამდე საფეხბურთო ნაკრებთა ელიტრაუნდის შეხვედრები 31 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდება, ევროპის ჩემპიონატი ჩრიდილოეთ ირლანდიაში ორ ეტაპად არის დაგეგმილი 8-14 ოქტომბერი ჯგუფური ეტაპი, 9-18 ნოემბერი ფლეი ოფის რაუნდი.

ევრო 2022-ის ფუტსალის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი ოფის შეხვედრები კი 2-11 ნოემბერს ჩაინიშნა.

უეფამ კორონავირუსის გამო შეჩერებული ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის განახლების ფორმატიც გამოაქვეყნა, რომლის მიახლოებულმა ვერსიამ მანამდეც გაჟონა:

ჩემპიონთა ლიგის 8 საუკეთესო გუნდის მინი-ტურნირი ლისაბონში 12-23 აგვისტოს გაიმართება და მეოთხედფინალები, ნახევარფინალები და ფინალი ერთმატჩიანი იქნება.

მერვედფინალების დარჩენილი შეხვედრების თარიღები 10 ივლისს უეფას აღმასკომზე დადგინდება. 7-8 აგვისტოს დაგეგმილი თამაშები შესაძლოა, პორტუსა და გიმარაეშში ჩატარდეს.

ევროპა ლიგის მინი-ტურნირი კი ანალოგიურად 10-21 აგვისტოს გერმანიაში გაიმართება – კიოლნში, დუისბურგში, დიუსელდორფსა და გელზენკირხენში. ფინალს კიოლნი უმასპინძლებს.

# შედეგები

**17 ივნისი**

**ფეხბურთი**

## ინგლისი. პრემიერლიგა

ასტონ ვილა-შეფილდი ........................ 0:0
სიტი-არსენალი ........................ 3:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 29 | 27 | 1 | 1 | 66-21 | 82 |
| 2.სიტი | 29 | 19 | 3 | 7 | 71-31 | 60 |
| 3.ლესტერი | 29 | 16 | 5 | 8 | 58-28 | 53 |
| 4.ჩელსი | 29 | 14 | 6 | 9 | 51-39 | 48 |
| 5.მანჩესტერი | 29 | 12 | 9 | 8 | 44-30 | 45 |
| 6.შეფილდი | 29 | 11 | 11 | 7 | 30-25 | 44 |
| 7.ვულვზი | 29 | 10 | 13 | 6 | 41-34 | 43 |
| 8.ტოტენჰემი | 29 | 11 | 8 | 10 | 47-40 | 41 |
| 9.არსენალი | 29 | 9 | 13 | 7 | 40-39 | 40 |
| 10.ბარნლი | 29 | 11 | 6 | 12 | 34-40 | 39 |
| 11.კრ.პალასი | 29 | 10 | 9 | 10 | 26-32 | 39 |
| 12.ევერტონი | 29 | 10 | 7 | 12 | 37-46 | 37 |
| 13.ნიუკასლი | 29 | 9 | 8 | 12 | 25-41 | 35 |
| 14.საუთჰემპტონი | 29 | 10 | 4 | 15 | 35-52 | 34 |
| 15.ბრაიტონი | 29 | 6 | 11 | 12 | 32-40 | 29 |
| 16.ვესტ ჰემი | 29 | 7 | 6 | 16 | 35-50 | 27 |
| 17.უოტფორდი | 29 | 6 | 9 | 14 | 27-44 | 27 |
| 18.ნორნმუთი | 29 | 7 | 6 | 16 | 29-47 | 27 |
| 19.ასტონ ვილა | 29 | 7 | 5 | 17 | 34-56 | 26 |
| 20.ნორვიჩი | 29 | 5 | 6 | 18 | 25-52 | 21 |

## გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-შალკე ........................ 2:1
აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი ........................ 1:3
ლევერკუზენი-კიოლნი ........................ 3:1
დორტმუნდი-მაინცი ........................ 0:2
ლაიფციგი-ფორტუნა ........................ 2:2

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 24 | 4 | 4 | 93-31 | 76 |
| 2.დორტმუნდი | 32 | 20 | 6 | 6 | 82-37 | 66 |
| 3.ლაიფციგი | 32 | 17 | 12 | 3 | 79-34 | 63 |
| 4.ლევერკუზენი | 32 | 18 | 6 | 8 | 60-42 | 60 |
| 5.გლადბახი | 32 | 18 | 5 | 9 | 61-38 | 59 |
| 6.ვოლფსბურგი | 32 | 12 | 10 | 10 | 44-41 | 46 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 32 | 13 | 7 | 12 | 45-53 | 46 |
| 8.ფრაიბურგი | 32 | 12 | 9 | 11 | 43-44 | 45 |
| 9.აინტრახტი | 32 | 12 | 5 | 15 | 55-57 | 41 |
| 10.შალკე | 32 | 9 | 12 | 11 | 37-50 | 39 |
| 11.ჰერტა | 32 | 10 | 8 | 14 | 45-57 | 38 |
| 12.უნიონი | 32 | 11 | 5 | 16 | 38-54 | 38 |
| 13.კიოლნი | 32 | 10 | 5 | 17 | 49-62 | 35 |
| 14.აუგსბურგი | 31 | 9 | 8 | 14 | 42-57 | 35 |
| 15.მაინცი | 32 | 10 | 4 | 18 | 41-63 | 34 |
| 16.ფორტუნა | 32 | 6 | 11 | 15 | 35-63 | 29 |
| 17.ვერდერი | 32 | 7 | 7 | 18 | 35-65 | 28 |
| 18.პადერბორნი | 32 | 4 | 8 | 20 | 34-68 | 20 |

## გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-ზ.პაული ........................ 4:0
შტუტგარტი-ზანდჰაუზენი ........................ 5:1
აუე-ბოხუმი ........................ 1:2
რეგენსბურგი-კარლსრუე ........................ 2:1

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალიადოლიდი-სელტა ........................ 0:0
ეიბარი-ბილბაო ........................ 2:2
ოსასუნა-ატლეტიკო ........................ 0:5

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 20 | 4 | 5 | 69-31 | 64 |
| 2.რეალი | 28 | 17 | 8 | 3 | 52-20 | 59 |
| 3.სევილია | 29 | 14 | 9 | 6 | 42-30 | 51 |
| 4.ატლეტიკო | 29 | 12 | 13 | 4 | 37-22 | 49 |
| 5.სოსიედადი | 28 | 14 | 5 | 9 | 46-34 | 47 |
| 6.ხეტაფე | 29 | 13 | 8 | 8 | 38-27 | 47 |
| 7.ვილიარეალი | 29 | 13 | 5 | 11 | 46-38 | 44 |
| 8.ვალენსია | 28 | 11 | 10 | 7 | 39-40 | 43 |
| 9.გრანადა | 29 | 12 | 6 | 11 | 37-35 | 42 |
| 10.ბილბაო | 29 | 9 | 12 | 8 | 32-26 | 39 |
| 11.ლევანტე | 29 | 10 | 5 | 14 | 34-42 | 35 |
| 12.ოსასუნა | 29 | 8 | 11 | 10 | 35-44 | 35 |
| 13.ბეტისი | 29 | 8 | 10 | 11 | 40-47 | 34 |
| 14.ვალიადოლიდი | 29 | 7 | 12 | 10 | 25-34 | 33 |
| 15.ალავესი | 28 | 8 | 8 | 12 | 29-39 | 32 |
| 16.ეიბარი | 29 | 7 | 7 | 15 | 30-46 | 28 |
| 17.სელტა | 29 | 5 | 12 | 12 | 22-35 | 27 |
| 18.მალიორკა | 29 | 7 | 4 | 18 | 28-49 | 25 |
| 19.ესპანიოლი | 29 | 5 | 9 | 15 | 25-46 | 24 |
| 20.ლეგანესი | 29 | 5 | 8 | 16 | 22-43 | 23 |

## ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალმერია-ლას პალმასი ........................ 0:1
ოვიედო-დეპორტივო ........................ 2:2
ესტრემადურა-ალბასეტე ........................ 0:1
რაიო-ფუენლაბრადა ........................ 1:0

**იტალია. თასი**

**ფინალი**

ნაპოლი-იუვენტუსი ........................ 0:0 (4:2პ)

## იტალია. სერია ბ

ასკოლი-კრემონეზე ........................ 1:3

## პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფერეირა-ბელენენსეში ........................ 2:1
რიუ ავე-ბენფიკა ........................ 1:2

## ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ზალცბურგი ........................ 0:0
ჰარტბერგი-რაპიდი ........................ 0:1
ლინცერი-შტურმი ........................ 4:0

## დანია. სუპერლიგა

ორხუსი-ნორდსიელანდი ........................ 2:1
კოპენჰაგენი-ოლბორგი ........................ 2:0

## შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ნორჩიოპინგი ........................ 1:4
ელფსბორგი-ჰამარბი ........................ 2:2
დიურგარდენი-იორებრო ........................ 1:2

## ნორვეგია. ელიტსერია

სტარტი-სტრომგოდსეტი ........................ 2:2
ჰაუგესუნდი-ბრანი ........................ 1:2

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**


# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს", რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# გია გრიგალავა: „ბელარუსთან პრობლემა არც შემოდგომაზე გვექნება“

დღეს რუსეთის პრემიერლიგა განახლება, სადაც საქართველოს ფეხბურთელთა სოლიდური დიასპორა ჰყავს.

ერთ-ერთი მათგანი ტულის არსენალისა და საქართველოს ნაკრების მცველი გია გრიგალავაა. მიმდინარე სეზონი გია გრიგალავამ წარმატებით დაიწყო და სეზონი გოლითაც კი გახსნა – 30 წლის მცველმა მოსკოვის დინამოს გაუტანა.

გრიგალავა 11 წლიდან რუსეთში იზრდებოდა, ამ ქვეყნის მოქალაქე იყო და ყველა იქაურ ასაკობრივ ნაკრებშიც უთამაშია. 2011 წელს საქართველოს მოქალაქეობა დაიბრუნა და ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრი გახდა, რომლის ფორმითაც 23 მატჩი ჩაატარა.

გრიგალავასთან ინტერვიუ რუსულ მედიაში გამოქვეყნდა.



**გია გრიგალავა:**

– კარანტინის პერიოდი ყველასთვის რთული იყო. ფაქტობრივად, გარეთ არ გავდიოდი და თითქმის სულ სახლში ვვარჯიშობდი. სატრენაჟორო ველოსიპედი მაქვს და ყოველდღიურად ერთი საათი მაინც ვიტვირთებოდი. გუნდის მწვრთნელების მიერ შედგენილი პროგრამებით ვვარჯიშობდით. ფორმის შენარჩუნება უფრო გამიჭრდა, ვიდრე – წონის. იმდენი მაინც მოვახერხე, რომ ზედმეტი წონა არ ამიკრეფია. თუმცა, საფეხბურთო კუთხით ისე ვერ ვიქნები, როგორც სეზონის მსვლელობისას. ეს მხოლოდ ინდივიდუალური ვარჯიშით შეუძლებელია. სამაგიეროდ, უამრავი ფილმი ვნახე. ადრე მენატრებოდა, ვარჯიშის ან თამაშის შემდეგ თავისუფალი დრო მქონოდა და სახლში სასურველი ფილმი მენახა. ახლა კი იმდენი უქმე დრო გამოჩნდა, ლამის ყველა ის ფილმი ვნახე, რაც მაინტერესებდა და კიდევ სხვებიც.

***– სხვა ქართველ ფეხბურთელებზე რას იტყვით?***

– კვირკველია რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია, უფაში ჯიმი ტაბიძე ძალიან სტაბილურია და მზარდი ფეხბურთელია. რუბინის ორივე ქართველი მომწონს – ზურა დავითაშვილი და ხვიჩა კვარაცხელია გუნდში წამყვანი მოთამაშეები არიან და დიდი პოტენციალიც აქვთ.

***– სეზონის პირველსავე მატჩში დინამოს გაუტანეთ. გასულ სეზონშიც ერთი გოლი შეაგდეთ და ისიც დინამოსთან. ეს დამთხვევაა?***

– ისე გამოდის, რომ მხოლოდ დინამოსთან ვახერხებ გატანას და უკვე ჩემი საყვარელი გუნდი გახდა.

***– სეზონის მიზანი უკვე შესრულებულია თუ კიდევ აპირებთ გატანას?***

– ნამდვილად მინდა ამ სეზონში უფრო მეტი გოლი გავიტანო, ვიდრე გასულ სეზონში.

***– ბავშვობაში შეტევაში თამაშობდით საფეხბურთო სკოლაში. შემოგრჩათ თავდამსხმელის უნარები?***

– ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. ახლა თავდასხმაში იშვიათად მივდივარ. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ფეხბურთში მცველების შეტევაში ჩართვა აუცილებელია და გოლებსაც იტანენ.

***– მამათქვენი მორაგბე იყო და სამჯერ სსრკ-ს ჩემპიონიც გახდა. თქვენ რატომ აირჩიეთ ფეხბურთი?***

– როსტოვში გადავედით საცხოვრებლად და რუსეთში ნაკლებ პოპულარულია, ვიდრე საქართველოში. ამიტომაც ფეხბურთზე შევედი და მამაჩემი მხარს მიჭერდა.

***– 19 წლის ასაკში აიაქსში იყავით. რომელ ვარსკვლავებთან გიწევდათ ვარჯიში?***

– სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს. იქ მხოლოდ 2 კვირა დავყავი, მაგრამ აიაქსი ძალიან კარგი გუნდი იყო.

***– რატომ არ გააფორმეთ კონტრაქტი?***

– აიაქსის მე-2 გუნდში თამაში შემომთავაზეს, მაგრამ ამ დროს რუსეთის პრემიერლიგიდან ძალიან კარგი წინადადება მივიღე და მოსკვაში გადავედი.

***– პრემიერლიგაში ლეგიონერად ითვლებით, მაგრამ რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის გამოცდილება გაქვთ.***

– მართალი გითხრათ, აღარც მახსოვს. ფარერებთან ვითამაშე ერთხელ და 0:1 წავაგეთ. არადა, ძალიან გუნდი გვყავდა, ალან ძაგოევი, ალექსანდრ კოკორინი, არტიომ ძიუბა, ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობდა.

***– 2011 წელს თქვენ გადაწყვიტეთ საქართველოს ნაკრებში თამაში. დიდხანს ფიქრობდით?***

– მაშინვე დავთანხმდი. მივიღე შემოთავაზება ჩემი სამშობლოსთვის სახლში მეთამაშა, ჩემებთან.

***– რუსეთის ნაკრები უფრო ძლიერი გუნდი იყო. არ გჯეროდათ, რომ დროთა განმავლობაში რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში დამკვიდრდებოდით?***

– იცით, ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრები მაშინ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე – რუსეთის. ვგულისხმობ ცალკეულ ფეხბურთელებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და კლუბებს, სადაც თამაშობდნენ.

***– მიუხედავად ამისა, საქართველო დიდ საფეხბურთო ტურნირზე არ მოხვედრილა. უახლოეს ხანებში აქვს ამის შანსი?***

– ნამდვილად. ევრო 2020-ზე აუცილებლად უნდა ვითამაშოთ და ვფიქრობ, კარგი შანსი გვაქვს. გველოდება ოთხთა ფინალი და ნამდვილად შეგვიძლია ამის გაკეთება, რადგან წინა შემოდგომაზე ერთა ლიგის ჯგუფი მოვიგეთ.

***– ბელარუსთან მატჩი გელოდებათ. არსენალში თქვენი 2 თანაგუნდელი ბელარუსის ნაკრების წევრია. მომავალ დაპირისპირებაზე არ გილაპარაკიათ?***

– ნაკრების შანსებზე კი არა, საერთოდ, იშვიათად ლაპარაკობენ, იქით თუ არ ჰკითხე, არაფერს იტყვიან. მეც დიდად არ შემიწუხებია. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, 26 მარტს ჩატარებულიყო. ამ დროისთვის ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი კარგ ფორმაში ვიყავით. მთავარია, ფორმა აღვიდგინოთ და დარწმუნებული ვარ, პრობლემა არც შემოდგომაზე გვექნება.

## შენგელიამ და შერმადინმა თამაში დაიწყეს

99-დღიანი პაუზის შემდეგ განახლდა ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატი. იძულებითი შესვენების მიზეზი ყველასთვის კარგად ნაცნობი – კორონავირუსია, რომელმაც საკალათბურთო სეზონს თითქმის მთელს ევროპაში წერტილი დაუსვა. გამონაკლისია ესპანეთი, სადაც გუნდები მოთმინებით ელოდნენ პანდემიის ტალღის შენელებას და თამაშების განახლებას.

ესპანეთის ჩემპიონატი განსხვავებული ფორმატით განახლდა: ფინალურ ფაზად წოდებული მინი-ტურნირის მასპინძელი ქალაქი ვალენსიაა, სადაც მარტში შეწყვეტილი ჩემპიონატის ცხრილის 12 საუკეთესო გუნდი შეიკრიბა და 2 ჯგუფში განაწილებულნი, 25 ივნისამდე ერთ წრედ ითამაშებენ, რის შემდეგაც, თითო ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო ნახევარფინალში გავა. ფლეი ოფში სერიები არ იქნება. ნახევარფინალები და ფინალიც ერთი მატჩისგან შედგება.

იოლი გამარჯვებით დაიწყო ესპანეთის ჩემპიონატის ფინალური ფაზა თორნიკე შენგელიას ბასკონიამ. პირველ შეხვედრაში ბასკონიელებმა ბასკურ დერბიში ბილბაო 87:64 გაანადგურეს. ქართველმა ლეგიონერმა სასტარტო ხუთეულში, 26 წუთი ითამაშა და თავი 7 ქულასა და 9 მოხსნას მოუყარა. თორნიკემ 7-დან 3 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 5 სამქულიანი კი ააცილა.

შედეგიდან გამომდინარე შენგელია შედარებით მოკრძალებული გახლდათ, თუმცა გუნდური თამაშის ხარჯზე ბასკონიელებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს.

შენგელიამდე პარკეტზე გიორგი შერმადინი გავიდა. ჩვენებურის ახლანდელი ტრენერიფე მისსავე ყოფილ კლუბ უნიკახას დაუპირისპირდა და 70:83 დამარცხდა. ქართველმა ცენტრმა 19 ითამაშა, 10 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. მის ანგარიშზე 9-დან 2 ორქულიანი და 6-დან 6 საჯარიმოა.

ესპანეთის ჩემპიონატში შემდეგი ქართველი, რომელიც მოედანზე გავა, ბექა ბურჯანაძე იქნება, რომლის გრან კანარია მადრიდის რეალს დაუპირისპირდება. შემდეგ ერთმანეთს შერმადინის ტენერიფე და შენგელიას ბასკონია შეხვდებიან.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## სამგლოვიარო განცხადებები

### თეიმურაზ კვესიტაძის გახსენება



ორმოცი დღე გავიდა თეიმურაზ კვესიტაძის გარდაცვალებიდან, ორმოცი ტკივილიანი და სევდიანი დღე. გვიჭირს ამ ქვეყნიდან მის წასვლასთან შეგუება, მისი მონატრების ტკივილს მხოლოდ მოგონებებიღა გვიქარვებს.

თ. კვესიტაძე დაიბადა 1943 წლის 7 დეკემბერს, პროფ. ივანე კვესიტაძისა და მარიამ გამილაღდიშვილის ოჯახში.

1967 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1969 წელს ჩააბარა ასპირანტურაში, დაიცვა დისერტაცია ონკო-გინეკოლოგიაში და მუშაობა დაიწყო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში.

1971-1981 წლებში თეიმურაზ კვესიტაძე სამედიცინო საქმიანობას ეწეოდა ალჟირში. შემდეგ მუშაობდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში და ხანგრძლივი სამუშაო მივლინებებით იმყოფებოდა შვეიცარიაში, სამხრეთ კორეასა და ინდოეთში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოღვაწეობა განაგრძო თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტში. იყო მრავალი, მეტად აქტუალური ნაშრომის ავტორი.

გულისხმიერება და მოყვასის სიყვარული ყოველთვის თან გასდევდა მისი, როგორც ექიმის, მოღვაწეობასა და საქმიანობას. პაციენტები მუდამ გრძნობდნენ მკურნალი ექიმის თანადგომასა და სიყვარულს და თვითონაც დიდი პატივისცემით და ნდობით იმსჭვალებოდნენ მის მიმართ.

ახალგაზრდობაში თ. კვესიტაძე იყო სპორტსმენი, კარგი ხელბურთელი და თავის დროზე საქართველოს ლეგენდარულ ნაკრებშიც თამაშობდა.

მისი ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი დანაკლისია ახლობლებისა და ოჯახის წევრებისათვის, მეგობრებისა და კოლეგებისათვის, უამრავი ნაცნობისათვის, რომლებსაც გულწრფელად უყვარდათ და აფასებდნენ მას.

უკეთილშობილეს ადამიანსა და მაღალპროფესიონალ ექიმს თეიმურაზ კვესიტაძეს მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონებენ მისი ოჯახის წევრები, ახლობლები, კოლეგები და მადლიერი პაციენტები.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება**

**საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ესპანელი ფერმწერი; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 5. სამრეწველო საწარმო; 6. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 11. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 13. სამხრეთ ამერიკის აღმომჩენი იტალიელი ზღვაოსანი; 14. კომიკური ოპერების სახელწოდება ავსტრიასა და გერმანიაში; 15. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 17. დიდი სპორტული შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 18. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 19. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

**თარაზულად:** 5. მეფის სიგელი; 8. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 9. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი მეტალურგიაში; 14. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 16. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. აშშ-ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი; 20. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 21. ელექტროობის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. ბუნებრივი წყალვარდნილი; 23. ღამის ფრინველი; 24. შიგაწვის ძრავის მქონე ორთვლიანი მანქანა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




#### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბიბლუსი; 2. ტალავარი; 3. ინტელი; 4. პირეი; 5. შიფონერი; 8. კერამიკა; 12. ტიბო; 13. ევოლუცია; 14. ჟირაფი; 16. ტიციანი; 18. ბუტკო; 20. კები.

**თარაზულად:** 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კავანი; 9. ბურჟე; 10. პარალიზი; 11. გასტრიტი; 15. კვერკველია; 17. ჰოპერი; 19. ფრიკადელი; 21. აცეტატი; 22. კატალონია; 23. ციპრასი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბომარშე; 2. კლონი; 3. კოხინორი; 4. ანგარი; 5. ყვარელი; 6. დიოგენი; 11. გნოლი; 13. ბოსტონი; 14. ანდერსენი; 15. კორელაცია; 17. ბეკონი; 18. კოიოტი; 19. ლეკი.

**თარაზულად:** 7. ბოჟოლე; 8. როინაშვილი; 9. საბენა; 10. პიკადორი; 12. სენბერნარი; 14. ამიაკი; 16. აბრსკილი; 18. კადასტრი; 20. დიორი; 21. ილი; 22. პოინტერი; 23. ნიცა; 24. ქიმერიონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0404

ევრო — 3.4177

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8187

100 რუსული რუბლი — 4.3638

## ამინდის პროგნოზი 19 ივნისისათვის




## სარიმ კრიშტიანო რონალდუ გააკრიტიკა



იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო სარიმ კრიშტიანო რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ ჯერჯერობით პორტუგალიელი ოპტიმალურ ფორმაში არ არის და მას შეტევაში სიმწვავე აკლია.

სარიმ ეს კომენტარი ნაპოლისთან თასის ფინალური შეხვედრის შემდეგ გააკეთა, რომელშიც იუვენტუსი დამარცხდა:

– ნაპოლიმ გამარჯვება დაიმსახურა, თუმცა ცუდად არ გვითამაშია. ჩვენს წამყვან მოთამაშეებს ჯერჯერობით შეტევაში სიმწვავე აკლიათ, მათ შორის კრიშტიანო რონალდუსაც. ვფიქრობ, რომ მომავალში უკეთეს ფორმაში ჩავდგებით და გამარჯვებებიც მოვა.

## მესი: „ანსუ ფატი ბარსელონას მომავალია“



ბარსელონას კაპიტანმა ლიონელ მესიმ ანსუ ფატიზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ძალიან სწრაფად პროგრესირებს. მესის აზრით, ანსუ ფატი ბარსელონას მომავალია და ის ფანებს არაერთხელ გაახარებს:

– ფატის თამაშის ყურება ძალიან სასიამოვნოა და ის ყოველ წამს პროგრესირებს. ლეგანესთან მან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და ეს ძალიან კარგ სტილში გააკეთა. დარწმუნებული ვარ, მომავალში ის ბარსელონას გულშემატკივარს ბევრ სიხარულს მოუტანს.

## კიკე სეტიენი: „ყველა შეხვედრის მოგება შეგვიძლია“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა დარჩენილ შეხვედრებზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას ყველა შეხვედრის მოგება შეუძლია, თუმცა ამის გაკეთება რთული იქნება:

– ჩემპიონობისთვის საჭიროა, რაც შეიძლება მეტი შეხვედრა მოვიგოთ და უმჯობესი იქნება, თუ ყველა შეხვედრაში გავიმარჯვებთ, რაც შეგვიძლია, თუმცა ეს იოლი არ იქნება. მეტოქეები ყოველთვის ცდილობენ, რომ საქმე მაქსიმალურად გაგვირთულონ.

## რაჰიმ სტერლინგი: „არსენალთან კარგად ვითამაშეთ“



მანჩესტერ სიტის შემტევმა რაჰიმ სტერლინგმა არსენალთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ სიტიმ კარგად ითამაშა, თუმცა ოპტიმალურ ფორმამდე მათ კიდევ აქვთ სამუშაო. სიტიმ შეხვედრა 3:0 მოიგო.

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 3 თვე არ გვითამაშია, ეს შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩავატარეთ. მომავალში აუცილებლად მოვუმატებთ და ჩვენს შესაძლებლობებს ყველას ვაჩვენებთ, – განაცხადა სტერლინგმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 19 ივნისისათვის

**ვერძი** – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ინტიმურ სფეროში უსიამოვნებაა მოსალოდნელი. **კურო** – ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ ადვილად ახერხებთ. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ბიზნესსაქმიანობა დღეს არასასურველია. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი ბუნების წიაღში გაატარეთ. ეცადეთ, დამშვიდდეთ და სულიერი ძალები აღიდგინოთ. საღამო ოჯახის წევრებს მიუძღვენით. **ლომი** – ერთდროულად მრავალი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ. პრიორიტეტი ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს მიანიჭეთ. **ქალწული** – იყავით დამთმობი. თხოვნაზე უარს, შეძლებისდაგვარად, ნურავის ეტყვით. **სასწორი** – დაუფიქრებლობა და აჩქარება ფინანსურად დაგაზარალებთ. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **ღრიანკალი** – წარმატების გასაღები საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში დევს. დაეხმარეთ ადამიანებს. **მშვილდოსანი** – ნუ აჩქარდებით. ერიდეთ მძიმე საქმის კეთებას. ყველა უსიამოვნება წარსულში რჩება. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** – ნუ გადაიღლებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ ან სულაც დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** – ნებისმიერი საქმე დიდი დაკვირვებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. თავი შეიკავეთ კონფლიქტში ჩართვისაგან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი თვითონ ამზადებს კერძებს, სახლს ალაგებს, რეცხავს და კერავს კიდეც...

– მერე, რას უწუნებ?

– რას და იმ ნაძირალას ქალისგან მხოლოდ სექსი უნდა...

•••

შვილმა მშობლებს სააბაზანოში სექსის დროს შეუსწრო. მამამ უხერხული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით დედას უკანალზე ხელის ტყაპუნი დაუწყო და თან ეუბნება:

– ეს იმისთვის, რომ გიგის სცემ, რომ გიგის აღარ სცემო!

გიგი მამას ეუბნება:

– სწორია, მამიკო, სწორი და იქნებ ჩვენი კატაც იხმარო, რომ აღარ დამფხაჭნოს!

•••

ერთი მეზობელი მეორის კარზე აკაკუნებს. სახლის პატრონმა კარი გააღო და მეზობელს ეკითხება:

– რა გნებავთ?

– თქვენ მკერავი ხართ, ხომ?

– დიახ.

– ჰოდა, შენს კატას უკანალი გაუკერე, რომ ჩემი სახლის კართან აღარ მოისაქმოს!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მაქსიმალურად ვცდილობ, კორონავირუსისგან თავი დავიცვა: ხელებზე ხელთათმანები მიკეთია, სახეზე – ნიღაბი, თავზე ქვაბს ვიხურავ...

– ქვაბს რატომ იხურავ, რა, შეშლილი ხარ?

– არა, მაგრამ, სამაგიეროდ, ხალხს ვგონივარ და სოციალურ დისტანციას ყოველგვარი შეხსენების გარეშე იცავენ.

•••

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, გინდა, განახო შენი და, რომელიც წერომ მოგვიყვანა?

– და კი არა, ის წერო მანახე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ია ფარულავა: „ნუ გვაბოლებს მთავრობა!“



მსახიობი და ტელეწამყვანი ია ფარულავა მთავრობას ტურიზმთან დაკავშირებით საზოგადოების დაბოლებაში ადანაშაულებს:

– მოკლედ და კონკრეტულად – წელს ტურიზმს მოეხაზა! აქ არავინ ჩამოვა დასასვენებლად. შემოდის ჯავშანი და მალევე ანულირდება.

ნუ გვაბოლებს მთავრობა! დადეთ პროტოკოლი როდის? რომელი? როგორ?

## ნანა ხურითი: „რატომ არ დაიწყო გამოძიება?“



სოხუმის თეატრის მსახიობი ნანა ხურითი დაინტერესებულია, რატომ არ დაიწყო გამოძიება ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით:

– ეს დღეებია ვეძებ და ვერ ვნახე. 2015 წელს, თუ არ ვცდები, როცა ფარული ჩანაწერები გამოქვეყნდა, ღარიბაშვილი იყო პრემიერი. „კუნთმაგარი ბიჭები, სისხლი, იდიოტი უცხოელები“ და ა.შ. მახსოვს, სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით, როგორც ჩანს, მაშინაც კონგრესმენები ან რაღაც ძალები ჩაერივნენ და ჩვენ კი დაგვავიწყეს ეგ ამბავი, ვინც ვერ ვეგუებოდით ამათ გაპარპაშებას და გაცოცხლებას, მათ შორის, ღარიბაშვილიც კი.

მაშინ „პრეზიდანტყოფილი მიშა“ ამბობდა დაახლოებით ასეთ ფრაზას „მსხვერპლი მინდა, ქალი, სასურველია ფეხმძიმე იყოსო“ და მეორე „გვარამია დასისხლიანებული კარგი იქნება, ოღონდ თვითონ არ უნდა იცოდესო“... კიდევ იყო იქ მის მეგობარ ქალბატონთან დიალოგები. მხოლოდ მე მახსოვს და ჩემი ფანტაზიის ნაყოფია თუ თქვენც გახსენდებათ მსგავსი ჩანაწერები...

რატომ არ დაიწყო გამოძიება და რა მიზეზით მიაჩუმათეს მაშინ? ვინმემ ახსნა? და თუ იცოდნენ არ გააკეთებინებდნენ და უფლებას არ მისცემდნენ, მაშინ რაღაზე ავრცელებდნენ?

## ჩოხა-ახალუხის ტარება და მთიანეთში ლუდის ხარშვის ტრადიცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია



ჩოხა-ახალუხის ტარების ტრადიციასა და საქართველოს მთიანეთში ლუდის ხარშვის უძველეს ტრადიციულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

შესაბამისი ბრძანება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ნიკოლოზ ანთიძემ უკვე გამოსცა:

– მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს „ქართველების იდენტობის სიმბოლოს – ჩოხა-ახალუხის ტარების ტრადიცია“ და „საქართველოს მთიანეთში ლუდის ხარშვის უძველესი ტრადიციული მეთოდი“ – აღნიშნულია ნიკოლოზ ანთიძის ბრძანებაში „კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“, რომელიც 17 ივნისს „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა და გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა.

## დაეხმარეთ მწერლებს!



მწერალი, პოეტი და დრამატურგი ნატალია ვარადაშვილი იგივე ნატა ვარადა საქართველოს მთავრობას მიმართავს და მწერლების დახმარებისკენ მოუწოდებს.

მან ინტერნეტში სპეციალური მანიფესტიც გაავრცელა, რომელზეც საკუთარი ხელმოწერით ნებისმიერ მსურველს საკუთარი მხარდაჭერის გამოხატვა შეუძლია:

– ადრესატი: საქართველოს მთავრობა

დაეხმარეთ მწერლებს! ქალაქ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

კორონავირუსის გავრცელებისა და მსოფლიო პანდემიის გამო, საქართველოში დღეს უამრავი მწერალი დარჩა სამსახურისა და შემოსავლის გარეშე. ბევრ მათგანს ლუკმაპურის ფული არ გააჩნია და შიმშილის ზღვარზეა!

მწერლები გააერთიანა გასაჭირმა და ისინი საკუთარი ძალებით ეხმარებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს არასაკმარისია, რადგან ძალიან მძიმეა რეალობა.

ვთხოვთ შესაბამის სამსახურ(ებ)ს, ქალაქ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაეხმაროს მწერლებს!

სახელმწიფო ბიუჯეტიდან წიგნიერების, განათლების, ლიტერატურის ხელშეწყობა-განვითარების მიზნით დაგეგმილი პროექტების და ღონისძიებების ნაწილი, კორონავირუსთან დაკავშირებული მოვლენების გამო, სამწუხაროდ, ჩაიშალა და წელს ვერ განხორციელდება.

ჩვენი ინიციატივაა, კულტურის, ლიტერატურისათვის გამიზნული სახსრებით დავეხმაროთ თანამედროვე, ქართველ ავტორებს, რომლებიც ქმნიან დღევანდელ ლიტერატურულ პროცესს საქართველოში.

მათ ახლა ძალიან უჭირთ. ნუ დავტოვებთ უნუგეშოდ, მხოლოდ ჰონორარის იმედად. ვიხსნათ მწერლები გასაჭირისგან! – ნათქვამია პეტიციაში, რომელსაც ასეულობით ხელმოწერა აქვს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 2. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. იაპონური სამრეწველო-მანქანათმშენებელი კონცერნი; 8. ლამაზად, მოხდენილად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 16. პატარა რესტორანი იტალიაში; 18. ფრანგი კინორეჟისორი; 20. ინდური მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი.

**თარაზულად:** 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 8. სოფლის პოლიციელი ძველად; 9. ელექტრონული ავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 10. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 11. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 21. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 22. კიდული რკინიგზა; 23. ქართული ტელეკომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

